ევროკავშირი
საქართველოსთვის

german cooperation

DW Akademie

MDF

საქართველოს მედიაგარემო

2024

საქართველოს მედიაგარემო

ანგარიში მომზადებულია

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

კვლევის ავტორი: მამუკა ანდღულაძე

რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

დიზაინი: ირმა მამასახლისი

2024

საზოგადოებრივი ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი https://humanrightshouse.org/
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50,
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: http://www.humanrights.ge
ვებ-საიტი: https://www.hrc.ge/

წინამდებარე მასალა მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს თანადაფინანსებით. ამ მასალის შინაარსი ავტორის - მამუკა ანდღულაძის და ადამიანის უფლებათა ცენტრის პასუხისმგებლობაა და არ გამოხატავს ევროკავშირის და გერმანიის ფედერალური სამინისტროს შეხედულებებს.

სარჩევი

- ძირითადი მიგნებები 5
- „რუსული კანონი“ მედიის წინააღმდეგ 6
- ჰომოფობიური და ცენზურის კანონი 10
- ფიზიკური ძალადობა, მუქარა და დაშინება 11
- პოლიტიზებული სახელმწიფო უწყებები 14
- პარლამენტი - დახურული უწყება დამოუკიდებელი მედიისთვის 15
- SLAPP სარჩელები კრიტიკული მედიის წინააღმდეგ 17
- დეზინფორმაცია მედიის წინააღმდეგ 18
- საჯარო ინფორმაციაზე წვდომა 20
- გამოწვევები სასამართლო სხდომების გაშუქებისას 21
- ქართული მედიაგარემო საერთაშორისო შეფასებებში/რეიტინგებში 22
- ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი 25
- სანქციები 26
- კიბერუსაფრთხოება 27
- კრიტიკული წინასაარჩევნო მედიაგარემო 28
- საქართველოში უცხოელი ჟურნალისტების შემოსვლის შეზღუდვა 30
- კომუნიკაციების კომისია 32
- სპეციალური საგამოძიებო სამსახური 36
- არჩევნების დღე 38
- რეკომენდაციები: 40

ქართული მედიაგარემოს კვლევის მიზანია საქართველოში მედიის თავისუფლების, ჟურნალისტების უფლებებისა და პლურალიზმის მდგომარეობის შეფასება. ანგარიში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ჟურნალისტების უსაფრთხოება, კრიტიკული მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები და ხელისუფლების ბოიკოტი მათ მიმართ, დეზინფორმაციული კამპანიები, მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი პოლიტიკური და სხვა სახის გავლენისგან, ასევე წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში- სექტორში არსებული ძირითადი გამოწვევები.

წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს მედიისა და გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო ბაზისა და პრეცედენტული პრაქტიკის მიმოხილვას, საჯარო წყაროებით ხელმისაწვდომი ანგარიშებისა და კვლევების ანალიზს.

ძირითადი მიგნებები

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ქართული მედია, განსაკუთრებით კი მისი დამოუკიდებელი და კრიტიკული სეგმენტი, მძიმე გამოწვევების წინაშე იდგა.
- მედიაგარემო მუქარის, დაშინებისა და ძალადობის გავრცელებული ფაქტებით გამოირჩევა. ძალადობის მსხვერპლი განსაკუთრებით დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიაორგანიზაციების წარმომადგენლები არიან.
- მმართველი პარტიის მიერ მიღებული „რუსული კანონი“ მიზნად ისახავს დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების სტიგმატიზაციას, საქმიანობის შეზღუდვას და საბოლოოდ მათ ლიკვიდაციას. ეს კანონი ეწინააღმდეგება დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებს, წარმოადგენს სერიოზულ უკან გადადგმულ ნაბიჯს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციის გზაზე.
- ხელისუფლების დანაწილება და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა საქართველოში სერიოზული გამოწვევების წინაშეა. სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიზაცია და მმართველი პარტიის მიერ მათი მიტაცება განსაკუთრებით მძიმედ აისახება მედიის თავისუფლებაზე.
- საქართველოს პარლამენტი თანდათანობით იქცა დახურულ სივრცედ დამოუკიდებელი მედიისთვის. ეს პროცესი განსაკუთრებით გამძაფრდა მედიის აკრედიტაციის ახალი წესების შემოღებით და უსაფრთხოების გამკაცრებული ზომებით, რამაც არსებითად შეზღუდა ჟურნალისტების შესაძლებლობა, გააშუქონ საპარლამენტო საქმიანობა.
- დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიის წინააღმდეგ სტრატეგიული სამართალწარმოების სარჩელები (SLAPP) კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ან მათთან დაკავშირებული პირების მიერ წარდგენილი სარჩელები ხშირად დაშინების იარაღად გამოიყენება და მიმართულია ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვისაკენ.
- დეზინფორმაცია საქართველოსთვის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება. განსაკუთრებით - შიდა დეზინფორმაცია. ყოველდღიურად ხელისუფლების მხრიდან ანტიდასავლური გზავნილები ვრცელდება. შიდა პროპაგანდის სამიზნე არიან დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიაორგანიზაციები და მათი ჟურნალისტები.
- საჯარო ინფორმაციაზე წვდომა ჟურნალისტებისთვის კრიტიკულ ნიშნულამდეა მისული.

„რუსული კანონი“ მედიის წინააღმდეგ

„ქართული ოცნების“ მიერ „რუსული კანონის“ ხელმეორედ ინიციირებამ სერიოზული კრიტიკა გამოიწვია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. მართალია, მმართველმა პარტიამ 2023 წელს განაცხადა, რომ ამ კანონს აღარ დაუბრუნდებოდნენ, მაგრამ 2024 წელს კვლავ მოახდინეს მისი ინიციირება.

„რუსული კანონი“, რომელსაც ოფიციალურად „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ჰქვია, თითქმის იდენტურია კანონპროექტისა, რომლის მიღებაც საქართველოს პარლამენტმა სცადა 2023 წელს, მაგრამ მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ უკან დაიხია. ახალ ვერსიაში მმართველმა პარტიამ - „ქართულმა ოცნებამ“ ტერმინი „უცხოური გავლენის აგენტები“ ჩაანაცვლა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“. „რუსული კანონი“ ავალდებულებს მედიას და სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომელთა წლიური შემოსავალი უცხოეთიდან 20 პროცენტს აღემატება, იუსტიციის სამინისტროში უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად დარეგისტრირდნენ. კანონი აწესებს უსამართლო, მძიმე და შეურაცხმყოფელ მოთხოვნებს არასამთავრობო ჯგუფებისა და მედიის მიმართ, რომლებიც უცხოურ დაფინანსებას იღებენ. ის ხელისუფლებას შემოწმების უფლებას აძლევს, აწესებს უსაფუძვლო პასუხისმგებლობას კანონის შეუსრულებლობისთვის, მათ შორის, სადამსჯელო ჯარიმებს 25 000 ლარამდე. „რუსული კანონი“ ასევე უფლებას აძლევს ხელისუფლებას, მოითხოვოს სენსიტიური პერსონალური მონაცემები ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირებისგან და აწესებს მაღალ ჯარიმებს შეუსრულებლობისთვის. იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა კანონით გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების ფორმები. ასევე, იუსტიციის მინისტრმა გამოსცა ბრძანება სპეციალური დეპარტამენტის შექმნის შესახებ, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მის შესრულებას. 2024 წლის აგვისტოდან სამოქალაქო ორგანიზაციებს და მედიას მოეთხოვება კანონის ფარგლებში დარეგისტრირდნენ, ან დაექვემდებარონ „იძულებით რეგისტრაციას“ და ჯარიმას. რეგისტრაციის შემდეგ, მათ უნდა წარადგინონ ფინანსური დეკლარაციები ყველა მატერიალური სარგებლის შესახებ (ფინანსური და ნატურალური) და დონორების შესახებ, მათ შორის, მათი პირადი საიდენტიფიკაციო ნომრებისა და საბანკო მონაცემების ჩათვლით.[1]

მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების „უცხო აგენტებად“ რეგისტრაცია იარლიყის მინიჭების მცდელობას წარმოადგენს. ამ ქმედებით მთავრობა ცდილობს დამოუკიდებელი მედიის სტიგმატიზაციას.

[1] Human Rights Watch-ის ანგარიში, 20 აგვისტო, 2024: https://www.hrw.org/news/2024/08/20/georgia-violent-attacks-government-critics

დამატებით მკაცრი ფინანსური ჯარიმები, ხელისუფლების წვდომა სენსიტიურ ინფორმაციაზე წარმოუდგენელს ხდის მსგავს გარემოში დამოუკიდებელი მედიის არსებობას. „რუსული კანონი“ შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებთან, სადაც თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია აუცილებელია ხელისუფლების პასუხისმგებლობისთვის. კანონი წარმოადგენს მნიშვნელოვან უკან გადადგმულ ნაბიჯს მედიის თავისუფლებისა და დემოკრატიული მმართველობის თვალსაზრისით და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მედიის თავისუფლებას, ჟურნალისტების უფლებებსა და ქვეყანას, რომელიც ევროინტეგრაციის გზაზე დგას.

„რუსული კანონის“ ინიციირების პირველივე დღიდან ქართულმა არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებმა[2] მკაფიოდ დააფიქსირეს კრიტიკული პოზიცია კანონის წინააღმდეგ. „ქართული ოცნების“ მიერ საკუთარი სიტყვის გატეხა და ხალხის მოტყუება მიმართულია არა მხოლოდ ქართული მედიისა და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების, არამედ თითოეული მოქალაქისა და საქართველოს ევროპული მომავლის წინააღმდეგ“, - განაცხადა ასობით ორგანიზაციამ.[3] იგივე ორგანიზაციებმა ასევე არაერთგზის ისაუბრეს, რომ კანონის არაკონსტიტუციური ბუნების გათვალისწინებით არ გეგმავენ დარეგისტრირდნენ, მაგრამ კვლავ განაგრძობენ საკუთარი მოვალეობის შესრულებას.

„რუსული კანონის“ ინიციირების დღიდან თვეების განმავლობაში ათიათასობით ადამიანი აპროტესტებდა კანონპროექტს, როგორც თბილისში, ასევე - სხვა ქალაქებში. არაერთხელ თბილისში, პარლამენტის შენობის წინ განსაკუთრებით დიდი დემონსტრაციების დროს, პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი არაძალადობრივი დემონსტრანტების დასაშლელად, რა დროსაც მედიის წარმომადგენლებიც დაშავდნენ და უკანონოდ ხელი შეეშალათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.[4]

21 მაისს ვენეციის კომისიამ „რუსული კანონის“ სამართლებრივი შეფასების დასკვნა გამოაქვეყნა, სადაც გამოხატული იყო მნიშვნელოვანი შეშფოთება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან მის თავსებადობასთან დაკავშირებით. კომისიის შეფასებით, „რუსულ კანონს“ სერიოზული უარყოფითი ზეგავლენა აქვს ფუნდამენტურ თავისუფლებებზე, მათ შორის - გაერთიანების, გამოხატვის, კონფიდენციალურობის, საზოგადოების მონაწილეობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ჩათვლით.

---

[2] დამოუკიდებელი მედიაორგანიზაციები „რუსული კანონის“ წინააღმდეგ, 3 აპრილი 2024: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/97392-qarthuli-damoukidebeli-mediis-ganckhadeba.

[3] მედია და სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადება „რუსული კანონის” წინააღმდეგ, 8 აპრილი 2024: https://csf.ge/ki-evropas-ara-rusul-kanons/?fbclid=IwAR2t-t-zsJwrVmj-LEf2SoAqbr9pyCilYKW_m5s1jfYeKq7XivDilB6cOzQ_aem_AWrq0-j4Rk7dtQWPhcnZDg4hdydqCltRD8pz33Gq7e6YCIfBULCu5xkDxWzBSjezCqkYqxc9oUL0NQ4i6EzcKLtV.

[4] Human Rights Watch, 9 მაისი 2024: https://www.hrw.org/news/2024/05/09/georgia-foreign-influence-bill-threatens-rights

ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ კანონის ფართო და ბუნდოვანმა დებულებებმა შეიძლება არაპროპორციულად იმოქმედოს ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ ორგანიზაციებზე, პოტენციურად შეასუსტოს საჯარო დისკურსი და ძირი გამოუთხაროს დემოკრატიულ პლურალიზმს. მიუხედავად იმისა, რომ კანონი, თითქოს, მიზნად ისახავს გამჭვირვალობის ხელშეწყობას, კომისიამ გააფრთხილა, რომ მის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგები, როგორიცაა - სტიგმატიზაცია, ფინანსური არასტაბილურობა და დაზარალებული ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების შეზღუდვა. კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს არსებული საკანონმდებლო ბაზა უკვე შეიცავს დებულებებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ, რაც აჩენს კითხვებს „რუსული კანონის“ აუცილებლობაზე. მან რეკომენდაცია გაუწია მთავრობას „რუსული კანონის“ გაუქმებასთან დაკავშირებით.[5]

მრავალმა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ,[6] ევროპელმა და ამერიკელმა პოლიტიკოსებმა საჯაროდ გამოხატეს „რუსული კანონის” მიმართ კრიტიკული შეფასება და მოუწოდეს „ქართულ ოცნებას“ უკან გაიწვიოს კანონი, ვინაიდან ის ძირითადად ფუნდამენტურ უფლებებს ეწინააღმდეგება. მათ შორის, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამ (IFJ) მოუწოდა მმართველ პარტიას კანონის გაუქმებისკენ: „ეს კანონი არის დამოუკიდებელი მედიისა და განსხვავებული ხმების ჩახშობის აშკარა მცდელობა. ის წარმოადგენს სერიოზულ შეტევას საქართველოში პრესის თავისუფლებასა და დემოკრატიაზე. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, დაუყოვნებლივ გააუქმოს ეს ავტორიტარული კანონმდებლობა და პატივი სცეს თავისუფალი გამოხატვისა და დამოუკიდებელი ფუნდამენტური უფლებების დაცვას.“[7]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ევროპის კავშირის ოფიციალური პირების, ევროპარლამენტარებისა, თუ მთავარი უწყებების რეგულარული განცხადებები „რუსული კანონის“ წინააღმდეგ, სადაც მკაფიოდ ხაზგასმული იყო, რომ ეს კანონი ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ პრინციპებს და საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე წინაღობას წარმოადგენს. მაგალითად, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ჯოზეფ ბორელმა მკაფიოდ დააფიქსირა საკუთარი და ევროკავშირის პოზიცია „რუსულ კანონთან“ დაკავშირებით, რომ ის ევროპულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება და რომ აღნიშნული კანონის ინიციირება ხელმეორედ მოხდა, მიუხედავად გასულ

[5] ვენეციის კომისიის დასკვნა, 21 მაისი 2024: https://civil.ge/ka/archives/608666

[6] საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართვა პრემიერ მინისტრს, გაიწვიონ „რუსული კანონი”, 10 მაისი, 2024: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/97723-saerthashoriso-organizaciebis-tserili-irakli-kobakhidzes.

[7] ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის (IFJ) განცხადება „რუსული კანონის“ წინააღმდეგ, 2 აგვისტო 2024: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/98190-avtoritaruli-uckhoethis-agentis-kanoni-unda-gauqmdes-zhurnalisttha-saerthashoriso-federacia

წელს მმართველი პარტიის დაპირებისა, რომ კანონს აღარ დაუბრუნდებოდნენ.[8]

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ ბრძანება გამოსცა, რომლითაც ცვლილება შევიდა „აგენტების რეესტრში“. ცვლილების თანახმად სამინისტრო მედია და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დასაქმებულთა პირად ნომრებს აღარ ითხოვს, მაგრამ კვლავ აინტერესებს საბანკო მონაცემები და დარიცხული ხელფასები.[9]

ასზე მეტმა ქართულმა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციამ „რუსული კანონის“ წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა. მოსარჩელეებმა მოითხოვეს დროებითი ღონისძიების სახით საბოლოო გადაწყვეტილებამდე კანონის მოქმედების შეჩერება.[10] არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების პარალელურად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა, ოპოზიციური პარტიის დეპუტატებმა, მედია ორგანიზაციებმა - „მთის ამბები“/„საქართველოს ამბები“ და „სტუდია მონიტორმა“. სასამართლომ სარჩელები გააერთიანა და გამწესრიგებელ სხდომაზე მხარეთა არგუმენტები მოისმინა. მოსარჩელეების შეფასებით, „რუსული კანონი“ ლახავს თითოეული ადამიანის უფლებას, გაერთიანდეს თანამოაზრეებთან ერთად, მედიისა და გამოხატვის თავისუფლებას და ა.შ. მიუხედავად არსებული მკაფიო შეფასებისა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტების მხრიდან, რომ „რუსული კანონი“ სრულად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და ევროპულ კანონმდებლობას, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა და არ შეაჩერა „რუსული კანონი“.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება მწვავე იყო. „სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ შეძლო დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, ის კვლავ მოექცა მმართველი პარტიის გავლენის ქვეშ და ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ფუნქცია - კონსტიტუციის დაცვა“, - ნათქვამია არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში.[11]

მოგვიანებით „რუსული კანონის“ წინააღმდეგ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 16 მედიის, 120 საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და 4 ფიზიკური პირის სახელით ადამიანის უფლებათა

---

[8] ჯოზეფ ბორელის განცხადება, 22 აპრილი, 2024: https://tabula.ge/ge/news/717221-boreli-rusuli-kanonze-vimeoreb-es-kanoni

[9] რადიო თავისუფლება, რატი ბრეგაძემ „აგენტების რეესტრში“ მონაცემების წარდგენის წესში ცვლილება შეიტანა, 21 სექტემბერი, 2024: https://www.radiotavisupleba.ge/a/33129056.html

[10] Civil.ge, 121 არასამთავრობო და მედია ორგანიზაცია „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს, 17 ივლისი 2024: https://civil.ge/ka/archives/616520.

[11] რადიო თავისუფლება, არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, 9 ოქტომბერი, 2024:https://www.radiotavisupleba.ge/a/33152497.html

ევროპულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მოსარჩელეები რამდენიმე მუხლით იდავებენ, კერძოდ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების (მე-11 მუხლი), გამოხატვის თავისუფლების (მე-10 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების (მე-8 მუხლი), დისკრიმინაციის (მე-14 მუხლი), სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების უფლების (მე-13 მუხლი) და უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლების (მე-18 მუხლის) დარღვევებზე.[12]

ჰომოფობიური და ცენზურის კანონი

„რუსული კანონის“ პარალელურად „ქართულმა ოცნებამ“ ჰომოფობიური და ცენზურის საკანონმდებლო პაკეტიც დააინიციირა, რომელიც უხეშად არღვევს, მათ შორის, მედიისა და გამოხატვის თავისუფლებების პრინციპებს და რუსეთის მსგავსად, მიმართულია მოწყვლადი ჯგუფების უფლებების შესაზღუდად და სტიგმების გასაძლიერებლად. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი მოწოდების მიუხედავად, რომ არ მიეღო კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, „ქართულმა ოცნებამ“, რუსული პროპაგანდისტული ნარატივებით, ეს კანონი მაინც მიიღო.

„კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლებას, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას, რომელიც დაფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 17, მუხლი 21). გარდა ამისა, ისინი შეუთავსებელია გამოხატვის თავისუფლების პრინციპებთან, რომლებიც განმტკიცებულია საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებში, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში (მუხლი 10, მუხლი 11). „ქართული ოცნების“ მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ადამიანის უფლებების, მათ შორის, პრესის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების მუდმივი თავდასხმა, რაც დემოკრატიის ფუნდამენტური საყრდენია,“ - აღნიშნულია პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის განცხადებაში.[13]

[12] საია, სამართლებრივი ბრძოლა „რუსული კანონის“ წინააღმდეგ სტრასბურგში გაგრძელდება, 17 ოქტომბერი, 2024: https://gyla.ge/post/samartlebrivi-brdzola-rusuli-kanonis-cinaagmdeg

[13] IPI, Georgia: Family Values Bill imposes censorship on media, 30 სექტემბერი: https://ipi.media/georgia-family-values-bill-imposes-censorship-on-media/.

დამოუკიდებელ და კრიტიკულ მედიებზე თავდასხმამ, მუქარამ, დაშინებამ და დეზინფორმაციამ საგანგაშო რაოდენობას და სიმძიმეს მიაღწია. მსგავსი ინციდენტების უკან ხშირად ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები დგანან. მიუხედავად იმისა, რომ „რუსული კანონის“ წინააღმდეგ პროტესტმა შესაძლოა დააჩქარა ჟურნალისტების მიმართ ძალადობის ზრდა, მსგავსი თავდასხმები წლებია, ქართული მედიაგარემოს მუდმივი მახასიათებელია. ამ ინციდენტებზე ეფექტური გამოძიების ნაკლებობამ, დაუსჯელობის კულტურამ, წაახალისა დამნაშავეები და შექმნა მტრული გარემო ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას.

მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრის (CMIS) კვლევა[14] „ჟურნალისტების უსაფრთხოება 2024 წლის არჩევნების წინ“ წინასაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტების უსაფრთხოებისა და მედიის მდგომარეობას მიმოიხილავს. კვლევის მონაცემებით დასტურდება, რომ ჩვენს ქვეყანაში მედიის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი უსაფრთხოების ნაკლებობას განიცდის. აგრესიული ქმედებები, რეპუტაციის შელახვა, საინფორმაციო წყაროებზე წვდომის შეზღუდვა და უკანონო თვალთვალი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა იმ ადამიანებისთვის, რომელთა მოვალეობაა ხელისუფლების საქმიანობის გაკონტროლება. ეს პრობლემები შეინიშნება საქართველოს ყველა რეგიონში და ვრცელდება ყველა ტიპის საინფორმაციო საშუალებაზე, რაც მიუთითებს საკითხის ფართო მასშტაბზე.

კვლევის თანახმად, ჟურნალისტებს მუშაობა უწევთ გართულებულ პირობებში. ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში გამოვლინდა მრავალი შემთხვევა, როდესაც მედიის წარმომადგენლები აწყდებოდნენ შევიწროებას, ზეწოლას და სხვადასხვა სახის წინააღმდეგობებს. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ არსებული გარემო განსაკუთრებით რთულია. ახლადმიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კიდევ უფრო გაართულა ვითარება, რაც მიუთითებს მედიის თავისუფლების შეზღუდვის ტენდენციაზე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ დასაქმებულთა უმრავლესობა არ გრძნობს თავს დაცულად. ისინი ხშირად ხდებიან ზეწოლის, შევიწროების და სხვადასხვა სახის შეზღუდვების მსხვერპლნი.

კვლევის ძირითადი მონაცემები:

- გამოკითხულთა 80%-ზე მეტი აღნიშნავს საჯარო ინფორმაციის მიღების სირთულეებს;

[14] CMIS, კვლევა ჟურნალისტების უსაფრთხოება 2024 წლის არჩევნების წინ, 2024: https://cmis.names.ge/zhurnalistebis-usafrtkhoeba-2024-wlis-archevnebis-win/

- 93 რესპონდენტიდან დაახლოებით 40% თავს სრულიად დაუცველად გრძნობს საზოგადოებრივი მოვლენების გაშუქებისას;
- დაახლოებით 60%-ს გამოუცდია შევიწროება სამართალდამცავთა მხრიდან;
- გამოკითხულთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს დეზინფორმაციული კამპანიების არსებობას;
- რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი საუბრობს პირადი სივრცის ხელყოფის შემთხვევებზე.

მედიის ადვოკატირების კოალიციისა და IREX-ის ერთობლივი კვლევის[15] ფარგლებშიც გამოვლინდა სერიოზული გამოწვევები მედიის წარმომადგენლების მიმართ. „რუსული კანონის“ ინიციატივის განხილვამ და მიღებამ გამოიწვია მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები. კვლევის ძირითად მიგნებებში გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტების დიდი ნაწილი გახდა უცნობი ნომრებიდან განხორციელებული მუქარის ზარების სამიზნე, მათი ოჯახის წევრებიც ასევე იღებდა მსგავს ზარებს და მათი ოჯახის წევრებთან განხორციელებული ზარების უმრავლესობა შეიცავდა პირდაპირ მუქარას ჟურნალისტების მიმართ. ფიზიკური უსაფრთხოება სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, ვინაიდან რესპონდენტების 45%-მა განიცადა სხვადასხვა ფორმის შევიწროება, ან ფიზიკური ძალადობა; გამოკითხულთა ნახევარი გრძნობს თავს ფიზიკურად დაუცველად; უმრავლესობამ მიიღო დამატებითი უსაფრთხოების ზომები; საგანგაშო ტენდენციებია ასევე სხვა მიმართულებითაც. კერძოდ, ჟურნალისტების საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებთან გამოჩნდა სიძულვილის ენის შემცველი პლაკატები და წარწერები.[16] საგანგაშოა ხელისუფლების რეაქცია ჟურნალისტების მიმართ მუქარასა და მათ კერძო საკუთრებასა და ოფისებზე გაკეთებულ შეურაცხმყოფელ წარწერებზე. ფეისბუქ-პოსტში პარტია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს წევრმა, პარლამენტის დეპუტატმა დიმიტრი სამხარაძემ, ფაქტობრივად, აღიარა, რომ მმართველი პარტია არის პასუხისმგებელი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებზე გაკეთებულ შეურაცხმყოფელ წარწერებზე. ამასთან, სამხარაძე საჯაროდ ემუქრებოდა ხელისუფლების კრიტიკოსებს.[17]

---

[15] IREX და მედიის ადვოკატირების კოალიციის ერთობლივი კვლევა ჟურნალისტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, 2024.

[16] Netgazeti.ge, ნინო ზურიაშვილის მანქანა დააზიანეს და სახლის ფასადზე გააკრეს სიძულვილის პლაკატები, 10 მაისი, 2024: https://netgazeti.ge/news/721899/; CPJ, Georgian journalists threatened after covering „foreign agent“ law protests, 10 მაისი 2024: https://cpj.org/2024/05/georgian-journalists-threatened-after-covering-foreign-agent-law-protests/

[17] Netgazeti.ge, დეპუტატი სამხარაძე აღიარებს, რომ შეურაცხმყოფელი წარწერების ორგანიზატორია, 31 მაისი, 2024: https://netgazeti.ge/life/724973/

შემაშფოთებელია ჟურნალისტების დაშინების ფაქტები, როგორიც იყო „აჭარა თაიმსის" დირექტორის სულხან მესხიძის შემთხვევა. პრემიერ-მინისტრმა და აჭარის მთავრობამ 11 ოქტომბერს ბათუმის ახალი შემოვლითი გზის მონაკვეთი საზეიმოდ გახსნეს. „აჭარა თაიმსმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გზა რეალურად არ დასრულებულა და ბეტონის ფილებით არის გადაკეტილი. ამის შემდეგ მესხიძეს უცნობმა პირმა მობილურზე მუქარის შემცველი შეტყობინებები გაუგზავნა.[18]

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECHR) მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ საქართველოსა და აზერბაიჯანს ერთობლივად 21,000 ევროს გადახდა დააკისრა. სასამართლოს დასკვნით, საქართველოს მხრიდან დადგინდა დარღვევა გამოძიების კუთხით - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლებთან მიმართებით (წამების აკრძალვა და თავისუფლების უფლება); არ დადასტურდა არსებითი დარღვევები თავად არასათანადო მოპყრობისა და დაკავების ფაქტებთან დაკავშირებით აზერბაიჯანის მხრიდან; დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა (დაკავებულის სასწრაფო წარდგენა სასამართლოში); დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება); არ დადასტურდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა. ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საქართველომ ვერ უზრუნველყო მუხთარლის გატაცების, არასათანადო მოპყრობისა და აზერბაიჯანში უკანონო გადაყვანის ფაქტების სრულყოფილი გამოძიება.[19]

არსებული გარემოებები საფრთხეს უქმნის თავისუფალი მედიის არსებობას, მაგრამ საინფორმაციო სივრცეში მომუშავე პირები მაინც აგრძელებენ თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულებას და საზოგადოების სამსახურს, რაც არჩევნების წინა პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიული განვითარებისთვის.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავმჯდომარემ, გიორგი კალანდარიშვილმა მედიასაშუალებებს, განსაკუთრებით - TV „პირველს", წინასაარჩევნო პერიოდში ბრალი დასდო ადმინისტრაციის თანამშრომელთა პირადი ინფორმაციის სავარაუდო უკანონო გამოყენებაში. ცესკოს თავმჯდომარემ TV „პირველი“ გააფრთხილა, რომ თუ ისინი დაარღვევდნენ კანონსა და ეთიკურ ნორმებს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას, მათთან თანამშრომლობის საკითხი გადაიხედებოდა. TV „პირველის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის, ნოდარ მელაძის თქმით, ცესკოს თავმჯდომარის

[18] მედიაჩექერი, 15 ოქტომბერი, განცხადება, 2024: https://www.facebook.com/share/p/P6sADoS82PHG7ytJ/

[19] Jam-News, აფგან მუხთარლიმ სტრასბურგში საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ დავა მოიგო, 5 სექტემბერი, 2024: https://jam-news.net/ge/afgan-mukhtarlis-saqme/

უკმაყოფილება გამოიწვია ტელეკომპანიის მიერ დაწყებულმა ჟურნალისტურმა კვლევამ, რომელიც ცესკოში დასაქმებულ მაღალი თანამდებობის პირთა ნათესაურ კავშირებს იკვლევდა. მელაძემ აღნიშნა, რომ კალანდარიშვილის განცხადება წარმოადგენს ზეწოლასა და შანტაჟს, რომლის მიზანია გამოძიების შეწყვეტის იძულება, ასევე სამართლებრივი დევნის მუქარა იმ პირობებში, როდესაც სასამართლო არ არის დამოუკიდებელი თავის გადაწყვეტილებებში.[20]

პოლიტიზებული სახელმწიფო უწყებები

დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპი - ხელისუფლების დანაწილება და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა - საქართველოში სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიზაცია და მმართველი პარტიის მიერ მათი მიტაცება განსაკუთრებით მძიმედ აისახება მედიის თავისუფლებაზე. როგორც კვლევები და პრაქტიკა აჩვენებს, სასამართლო, აღმასრულებელი, საკანონმდებლო ხელისუფლება და ე.წ. დამოუკიდებელი ორგანოები კოორდინირებულად მმართველი პარტიის კარნახით მოქმედებენ კრიტიკული მედიის წინააღმდეგ.

სასამართლო სისტემაში მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად პოლიტიკურად მოტივირებულია და მიმართულია დამოუკიდებელი მედიასაშუალებების წინააღმდეგ, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ცილისწამების საქმეებში. მმართველი პარტია, თავის მხრივ, იყენებს ადმინისტრაციულ რესურსებს კრიტიკული მედიის საქმიანობის შესაზღუდად. პარლამენტი, რომელიც დემოკრატიული კონტროლის მთავარ ინსტრუმენტს უნდა წარმოადგენდეს, ხშირად გვევლინება რეპრესიული მედიაკანონმდებლობის ინიციატორად და მხარდამჭერად.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ნომინალურად დამოუკიდებელი ინსტიტუტები, როგორიცაა კომუნიკაციების კომისია, თავის უფლებამოსილებას იყენებს არა მედიის თავისუფლების დასაცავად, არამედ კრიტიკული მედიასაშუალებების შესავიწროებლად. ეს ვლინდება როგორც წინასაარჩევნო პერიოდში მიღებულ მიკერძოებულ გადაწყვეტილებებში, ისე - ყოველდღიურ საქმიანობაში.

ინსტიტუციური მიკერძოება და პოლიტიზაცია ქმნის მანკიერ წრეს, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტების ყველა დონეზე ხდება კრიტიკული მედიის

[20] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, განცხადება ცესკოს თავმჯდომარის მხრიდან მედიაზე განხორციელებულ ზეწოლასა და ჟურნალისტურ საქმიანობაზე ცენზურის დაწესების მცდელობაზე, 12 სექტემბერი 2024: https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/98320.

მარგინალიზაცია და შევიწროება. ეს პროცესი განსაკუთრებით გამძაფრდა ბოლო წლებში, რაც აისახა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებში და მედიის თავისუფლების რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუარესებაში.[21] სახელმწიფო ინსტიტუტების ასეთი სისტემური პოლიტიზაცია არა მხოლოდ აზიანებს მედიის თავისუფლებას, არამედ საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და მის ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

პარლამენტი – დახურული უწყება დამოუკიდებელი მედიისთვის

საქართველოს პარლამენტი, რომელიც დემოკრატიული მმართველობის ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა მედიის თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების კუთხით. საკანონმდებლო ორგანო თანდათანობით იქცა დახურულ სივრცედ დამოუკიდებელი მედიისთვის. ეს პროცესი განსაკუთრებით გამძაფრდა მედიის აკრედიტაციის ახალი წესების შემოღებით და უსაფრთხოების გამკაცრებული ზომებით, რამაც არსებითად შეზღუდა ჟურნალისტების შესაძლებლობა, გააშუქონ საპარლამენტო საქმიანობა და უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმირებულობა.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ეს შეზღუდვები ხშირად შერჩევით გამოიყენება კრიტიკული მედიასაშუალებების წინააღმდეგ, რაც კითხვის ქვეშ აყენებს დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების ხარისხს საქართველოში.„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიშის[22] თანახმად, 2023 წლიდან განსაკუთრებით გაუარესდა პარლამენტის ღიაობა და გამჭვირვალობა. მდგომარეობა გაუარესდა 2023 წლის 4 აპრილს მედიისათვის აკრედიტაციის განახლებული რეგულაციების მიღების შემდეგ, რამაც კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიების წარმომადგენლებისთვის პარლამენტი უფრო დახურული და გაუმჭვირვალე უწყება გახადა. 2024 წელს, „რუსული კანონის“ განხილვებისა და კენჭისყრის დღეებში პარლამენტში შესვლა მკვეთრად გართულდა დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიასაშუალებებისთვის. მაგალითად, 2024 წლის მაისში რამდენჯერმე, საქართველოს პარლამენტის შენობაში

[21] იხ. მაგალითად ფრიდომ ჰაუსი: Nations in Transit, 2024.

[22] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საქმიანობის შეფასება. 10 ივლისი, 2024: https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-parlamentis-2023-clis-sakmianobis-shepaseba

უსაფრთხოების ე.წ. „ყვითელი დონე“ გამოცხადდა[23] და საკანონმდებლო ორგანოში მუშაობა შეეზღუდა მედიას. პარლამენტში დაიშვებოდნენ მხოლოდ ტელემაუწყებლების აკრედიტებული ჟურნალისტები, მაგრამ არაუმეტეს ორი ჯგუფი თითო მაუწყებლიდან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიშის[24] თანახმად, 2023 წლიდან განსაკუთრებით გაუარესდა პარლამენტის ღიაობა და გამჭვირვალობა. მდგომარეობა გაუარესდა 2023 წლის 4 აპრილს მედიისათვის აკრედიტაციის განახლებული რეგულაციების მიღების შემდეგ, რამაც კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიების წარმომადგენლებისთვის პარლამენტი უფრო დახურული და გაუმჭვირვალე უწყება გახადა. 2024 წელს, „რუსული კანონის“ განხილვებისა და კენჭისყრის დღეებში პარლამენტში შესვლა მკვეთრად გართულდა დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიასაშუალებებისთვის. მაგალითად, 2024 წლის მაისში რამდენჯერმე, საქართველოს პარლამენტის შენობაში უსაფრთხოების ე.წ. „ყვითელი დონე“ გამოცხადდა[25] და საკანონმდებლო ორგანოში მუშაობა შეეზღუდა მედიას. პარლამენტში დაიშვებოდნენ მხოლოდ ტელემაუწყებლების აკრედიტებული ჟურნალისტები, მაგრამ არაუმეტეს ორი ჯგუფი თითო მაუწყებლიდან.

გარდა უსაფრთხოებით გამოწვეული შეზღუდვებისა, აკრედიტაციის შეჩერებას პერიოდულად ითხოვენ „ქართული ოცნების“ და „ხალხის ძალის“ წარმომადგენლებიც. მაგალითად, აკრედიტაცია ერთი თვით შეუჩერდა ტელეკომპანია „პირველის" ჟურნალისტს, მაკა ჩიხლაძეს, „ხალხის ძალის" დეპუტატის, გურამ მაჭარაშვილის მოთხოვნით, რომელიც ჟურნალისტს ინტერვიუზე ჯერ დასთანხმდა, ხოლო მოგვიანებით, მხოლოდ იმის გამო, რომ კითხვა არ მოეწონა, მისი შეწყვეტა მოითხოვა.

„ქართული ოცნების“ დეპუტატის, ნინო წილოსანის მოთხოვნით, საკანონმდებლო ორგანოში მუშაობა ერთი თვით აეკრძალა ტელეკომპანია „მთავარის“ ჟურნალისტს, ნინი ბალანჩივაძეს და 6 თვით - ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტს, სოფო გოზალიშვილს. ასევე, „ხალხის ძალის" დეპუტატების, სოზარ სუბარისა და გურამ მაჭარაშვილის მოთხოვნის საფუძველზე აკრედიტაცია თითო-თითო თვით შეუჩერდათ TV „პირველის" ჟურნალისტებს, ნატა ქაჯაიას და მაკა ჩიხლაძეს.[26]

---

[23] საქართველოს პარლამენტის განცხადება უსაფრთხოების დამატებითი ზომების შესახებ. 12 მაისი, 2024: https://shorturl.at/7rOB7

[24] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საქმიანობის შეფასება. 10 ივლისი, 2024: https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-parlamentis-2023-clis-sakmianobis-shepaseba

[25] საქართველოს პარლამენტის განცხადება უსაფრთხოების დამატებითი ზომების შესახებ. 12 მაისი, 2024: https://shorturl.at/7rOB7

[26] მედიაჩეკერი, აკრედიტაციაშეჩერებულმა ჟურნალისტებმა დისკრიმინაციის დასადგენად ომბუდსმენს მიმართეს. 6 ივნისი 2024: https://shorturl.at/hQqdJ

დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიის წინააღმდეგ სტრატეგიული სამართალწარმოების სარჩელები (SLAPP) კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. სარჩელები ხშირად დაშინების იარაღად გამოიყენება და მიმართულია ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვასა და საზოგადოების უფლებაზე, მიიღოს ინფორმაცია. მიუხედავად სამართლებრივი ჩარჩოებისა, რომლებიც, თითქოსდა, იცავს გამოხატვის თავისუფლებას საქართველოში, სასამართლოები ხშირად ისე განმარტავენ და იყენებენ კანონს, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლები ან მათთან დაკავშირებული პირები უსაფუძვლოდ იგებენ პროცესებს. ეს კი უხეშად არღვევს მედიისა და ჟურნალისტების უფლებებს და ძირს უთხრის დემოკრატიის პრინციპებს.[27]

2021 წლიდან მმართველი პარტიის თანამდებობის პირები და მათთან დაკავშირებული სხვა პირები ცილისწამების მოტივით იწყებენ კრიტიკული მედიის წინააღმდეგ სამართლებრივ დავებს. აშკარად უსაფუძვლო სარჩელების მიზანი არა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა, არამედ მედიისა და აქტიური მოქალაქეების გაჩუმებაა.[28]

2024 წლის ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია „პირველს“ და მის ჟურნალისტს, სოფო ნიაურს „ქართული ოცნების“ მთავრობის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძისთვის 10 000 ლარის გადახდა დააკისრა. დავის საგანი გახდა მედიის სიუჟეტი თაღლითური ქოლცენტრების შექმნისა და მოწყობის ბრალდებით დაკავებულების შესახებ. ანალოგიური საქმეების მსგავსად სასამართლომ ამ ეტაპზეც საქმე მცირე დროის პერიოდში განიხილა და მედიასთან ერთად პასუხისმგებლობა ჟურნალისტს დააკისრა.[29]

დროის მცირე მონაკვეთში ტელეკომპანია „პირველის“ წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ მაღალი რანგის პირებმა აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართეს, კერძოდ - ქალაქ თბილისის მერმა, კახი კალაძემ და პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის სიძემ, დავით ფაცაციამ.[30] მართალია რეპრესიული მექანიზმები პრაქტიკაში ჯერ არ ამოქმედებულა,

[27] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, SLAPP საქმეები საქართველოში, 2023: https://shorturl.at/d8XhG

[28] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, SLAPP საქმეები საქართველოში, 2023: https://shorturl.at/d8XhG

[29] On.ge, სასამართლომ TV „პირველსა" და ჟურნალისტ სოფო ნიაურს, ჭიკაიძისთვის 10 000 ლარის გადახდა დააკისრა, 11 ოქტომბერი 2024 https://shorturl.at/gLHcu

[30] Publika.ge კობახიძის სიძე TV „პირველის" წინააღმდეგ | მელაძის თქმით, დღეს უკვე მეორე სააღსრულებლო დოკუმენტი ჩაბარდა, 26 ივლისი 2024, https://publika.ge/kobakhidzis-sidze-tv-pirvelis-winaaghmdeg-meladzis-tqmit-dghes-ukve-meore-saaghsruleblo-dokumenti-chabarda/

მაგრამ ორივე საქმე მიანიშნებს იმ რეალურ საფრთხეს თუ რა ნაბიჯები შეიძლება იყოს გადადგმული მედიის წინააღმდეგ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ (TI) განცხადებით, სამთავრობო მედია რუსთავი 2-იდან გათავისუფლებული ჟურნალისტების საქმე ხელისუფლების მიერ სასამართლო აღსრულებასთან დაკავშირებით ორმაგი სტანდარტის გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია. ორგანიზაცია „რუსთავი 2-დან“ გათავისუფლებული ჟურნალისტების საქმეს სწავლობს. TI-ის ინფორმაციით, აღსრულების ეროვნული ბიურო „რუსთავი 2-დან“ გათავისუფლებული ჟურნალისტებისთვის კანონით განსაზღვრული კომპენსაციის გადახდის პროცესს აფერხებს. TV „პირველის" შემთხვევაში კი, აღსრულების ბიურომ პროცესი დაუყოვნებლივ წამოიწყო. [31]

დეზინფორმაცია მედიის წინააღმდეგ

დეზინფორმაცია საქართველოსთვის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება. რუსეთიდან მომავალი დეზინფორმაცია, რომელიც 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის და სრულმასშტაბიანი ომის შემდეგ გამძაფრდა, ისევ მნიშვნელოვან გამოწვევას უქმნის საინფორმაციო ველს და ზოგადად საქართველოს მოსახლეობას. ამავდროულად, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ანგარიშებში ხელისუფლების მხრიდან გავრცელებული ანტი-დასავლური გზავნილები ერთ-ერთ პრობლემად სახელდება. სამწუხაროდ, პრობლემად რჩება სახელმწიფოს მხრიდან დეზინფორმაციის კუთხით არსებული გამოწვევის ანალიზი, სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებათა შორის კოორდინაცია და საპასუხო ქმედებების ეფექტიანობა.[32]

2023 წლის დეკემბერში მიღებული 2024-2027 წლების მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგიაში, მართალია, დეზინფორმაცია იდენტიფიცირებულია, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის საქმიანობისთვის, მაგრამ ამის მიუხედავად, სტრატეგიაში არ არის ნახსენები რუსეთიდან მომავალი ჰიბრიდული საფრთხეები.[33] აღსანიშნავია ასევე მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების ოფისის

[31] საერთაშორისო გამჭვირვალობა - აქართველო, აღსრულების ეროვნულ ბიუროს ტელევიზიებთან მიმართებით ორმაგი სტანდარტი აქვს, 24 სექტემბერი, 2024: https://shorturl.at/TBIVr

[32] საერთაშორისო გამჭივრვალობა - საქართველო, დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში სახელმწიფოს მიდგომა და ბრძოლის გზები: www.transparency.ge/sites/default/files/a42mm-18pgcover_3.pdf

[33] საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგია 2024-2027: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=428&info_id=86923
სტრატეგიული კომუნიკაცია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ: https://gnomonwise.org/public/storage/publications/March2024/R06BBoOMpGxmqo6qOtTO.pdf

მიერ მართული ფეისბუკ-გვერდი „სინამდვილეში“, რომელიც წლებია ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების, აქტივისტების, პოლიტიკოსების შეფასებების/მოსაზრებების ან ქმედებების დისკრედიტაციას ეწევა.[34]

2023 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, ხელისუფლების მხრიდან კრიტიკულად განწყობილი (პროოპოზიციური და დამოუკიდებელი) მედიასაშუალებების მიმართ დისკრედიტაცია და დეზინფორმაციული გზავნილები განსაკუთრებით გამწვავდა. სიტუაციამ კრიტიკულ ნიშნულს „რუსული კანონის“ მიღების პროცესში მიაღწია.

2024 წლის აგვისტოში სოციალური ქსელის, ფეისბუკის მმართველმა კომპანიამ Meta-მ[35] კოორდინირებული არაავთენტური ქცევისთვის წაშალა 76 ფეისბუკ-,ანგარიში, 30 ფეისბუკ-გვერდი და 11 ინსტაგრამ-ანგარიში, რომლებიც მოქმედებდნენ Meta-ს შინაგანაწესის წინააღმდეგ კოორდინირებული ავთენტური ქმედების თაობაზე. ანგარიშში მითითებულია, რომ წაშლილი ანგარიშები რუსეთიდან მოდიოდა და მათი სამიზნე საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი იყო. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში ეს ანგარიშები აქვეყნებდნენ პოსტებს ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციების შესახებ „უცხოელი აგენტების კანონის“ წინააღმდეგ, სადაც ისინი აკრიტიკებდნენ მომიტინგეებს და მხარს უჭერდნენ მმართველ პარტიას. საქმიანობის რეკლამირების მიზნით, ფეისბუკზე რეკლამაში $77,000 დოლარი დაიხარჯა.

2024 წლის 24 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე, დილის 8 საათზე, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს ჩხრეკები „ატლანტიკური საბჭოს" ქართველი თანამშრომლების, სოფო გელავასა და ეთო ბუზიაშვილის საცხოვრებელ სახლებში. ამ ფაქტმა სერიოზული კრიტიკა გამოიწვია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან.[36] ქართველი ექსპერტები წლების განმავლობაში რუსულ დეზინფორმაციასა და პროპაგანდის წინააღმდეგ მუშაობდნენ. „ატლანტიკური საბჭო" აღშფოთებულია ამ განვითარებით და მისი ზეგავლენით თანამშრომლების საქმიანობაზე საქართველოს არჩევნებამდე მოკლე ხანში. ქართველი კოლეგები დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ საქმიანობას ეწევიან, რომლის მიზანია

[34]მედიის, განვითარების ფონდი, რა არის დემოკრატია, დისკრედიტაცია და რელიგიური პროპაგანდა „სინამდვილეში“? – მმართველი პარტია კრიტიკული აზრის წინააღმდეგ, 18.01.2023. https://mythdetector.ge/ka/ra-aris-demokratia-diskreditatsia-da-religiuri-propaganda-sinamdvileshi/

[35] Adversarial Threat Report, Meta. August 2024. https://transparency.meta.com/metasecurity/threat-reporting/

[36] რადიო თავისუფლება, წინასაარჩევნო ჩხრეკა დეზინფორმაციის მკვლევრების სახლებსა და ამერიკული კომპანიის თბილისის ოფისში - რა ვიცით? 24 ოქტომბერი: https://www.radiotavisupleba.ge/a/33172213.html

დემოკრატიის დაცვა და გაძლიერება იმ პირთაგან, ვინც ცდილობენ მის დესტაბილიზაციას - ნათქვამია „ატლანტიკური საბჭოს“ განცხადებაში.[37]

საჯარო ინფორმაციაზე წვდომა

საჯარო ინფორმაციაზე წვდომა საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით გარანტირებული უფლებაა. საზოგადოებისათვის და, რა თქმა უნდა, მედიისათვის კანონმდებლობით გარანტირებული უფლების ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის მოპოვება მნიშვნელოვანია მისი საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის კუთხით.

საჯარო ინფორმაციაზე წვდომა ჟურნალისტებისთვის კრიტიკულ ნიშნულამდეა მისული. „მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების“ ცენტრის პროექტის შედეგების[38] თანახმად, 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის აგვისტოს პერიოდში გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ანალიზის შედეგად, დგინდება, რომ როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს წვდომა საჯარო ინფორმაციაზე. უწყებების მხრიდან წერილებზე უარი, ან დაგვიანებული თუ არაჯეროვანი პასუხი სისტემურ პრობლემაზე მიუთითებს. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კვლევის თანახმად, 2022 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების მაჩვენებელი 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი შედეგი იყო.[39] საჯარო ინფორმაციაზე წვდომა რომ პრობლემას წარმოადგენს, ეს გაეროს უფლებადამცველთა შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიშშიც[40] არის მითითებული.

აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეფექტური ინსტიტუტის არარსებობას, რაც განსაკუთრებით აისახება ჟურნალისტებსა და უფლებადამცველებზე. ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში,

---

[37] Atlantic Council, Statement on the home raids of two Atlantic Council staff in Georgia, 24 ოქტომბერი, 2024: https://www.atlanticcouncil.org/news/announcements/statement-on-the-home-raids-of-two-atlantic-council-staff-in-georgia/

[38] მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი: https://cmis.ge/projects/pubinf/ka

[39] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2022, , 10 მარტი 2023.: https://idfi.ge/ge/access_to_public_information_in_georgia_2022_

[40] Country Visit Report: Georgia, UN Special Rapporteur on Human Rights Defenders: https://srdefenders.org/country-visit-report-georgia/?fbclid=IwAR3pnLBKDoIUxKVz9gJTbodgK4g0THjtlXGTb7LB1bFxAzBQt1G9nB6Ho2s

აპარატმა ხაზგასმით აღნიშნა ინფორმაციის უფლების ეფექტური აღსრულებისთვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნის აუცილებლობა. არსებული სისტემა არასაკმარისია, რადგან სასამართლოში გასაჩივრების ხანგრძლივი პროცესი ხშირად აფერხებს მნიშვნელოვან ინფორმაციაზე წვდომას. ასეთი დაგვიანება ამცირებს ინფორმაციის ღირებულებას ჟურნალისტებისა და აქტივისტებისთვის, რაც ხელს უშლის მათი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.[41]

გამოწვევები სასამართლო სხდომების გაშუქებისას

მედიის მიერ სასამართლო სხდომების გაშუქება მორიგ გამოწვევას წარმოადგენს. მედიის, განსაკუთრებით - ონლაინ მედიის წვდომას სასამართლო პროცესებზე ხარვეზები და წინააღმდეგობები ახლავს. მედია ხშირად აწყდება დაუსაბუთებელ უარს გადაღებაზე, ბუნდოვან ადმინისტრაციულ პროცედურებს და გაურკვეველ გადაწყვეტილებებს პრესსამსახურის მხრიდან. ეს ტენდენცია არა მხოლოდ აფერხებს მედიის ეფექტურ მუშაობას, არამედ საფრთხეს უქმნის საზოგადოების უფლებას, მიიღოს ინფორმაცია სასამართლოში მიმდინარე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეების შესახებ.

სასამართლო სხდომების გაშუქების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით ხორციელდება, სადაც საეთერო მაუწყებლებისთვის განსაკუთრებული პირობებია გათვალისწინებული. უპირატესი უფლება საზოგადოებრივ მაუწყებელს ენიჭება, ხოლო მისი უარის შემთხვევაში, სხვა ეროვნულ მაუწყებელს შეუძლია ისარგებლოს ამ შესაძლებლობით. პროცესის გადაღებისთვის საჭიროა წინასწარი მოთხოვნის წარდგენა. ონლაინ-გამოცემების მიერ ფოტოს გადაღება დამოკიდებულია მოსამართლის ნებართვაზე, რომელიც სხდომის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას. თუმცა, ბოლო პერიოდში პრაქტიკა შეიცვალა. ინტერნეტგამოცემა „პუბლიკას" რამდენჯერმე ეთქვა უარი გადაღებაზე. „პუბლიკას" რედაქტორის განცხადებით, მათ ვერ მოახერხეს საპროტესტო აქციაზე დაკავებულის სასამართლო პროცესის ასახვა. აღსანიშნავია, რომ უარი პრესსამსახურმა გადასცა, ხოლო მოსამართლეს ამ საკითხზე არ უმსჯელია. მსგავსი შემთხვევა განმეორდა კიდევ ერთხელ - პრესსამსახურმა

[41] IPN, ომბუდსმენი - ქვეყანაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტური ინსტიტუტის არარსებობა, 28 სექტემბერი 2024: https://t.ly/z4Olg

წინასწარ შეატყობინა რედაქციას უარი, მაგრამ გაირკვა, რომ მოსამართლეს ასეთი გადაწყვეტილება არ მიუღია.

რადიო „თავისუფლებას" რამდენჯერმე შეეზღუდა ფოტოგადაღების უფლება. ჟურნალისტ ნასტასია არაბულის განცხადებით, ევროპული ბიბლიოთეკებიდან უნიკალური წიგნების გატაცებაში ბრალდებულთა საქმის განხილვისას, მიუხედავად წინასწარი წერილობითი მოთხოვნისა და სხვა მედიასაშუალებების არყოფნისა, უარი მიიღო გადაღებაზე. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შეზღუდვა დაუწესდა ამავე მედიასაშუალების ჟურნალისტს, გელა ბოჩიკაშვილს სხდომაზე, სადაც განიხილებოდა „რუსული კანონის" საწინააღმდეგო აქციის მონაწილის საქმე, რომელსაც ბრალად ედება საკანონმდებლო ორგანოს შენობის დაზიანება და სამაშველო სამსახურის წარმომადგენლის დაშავება.[42]

არსებული ტენდენციის გაგრძელება მნიშვნელოვნად შეზღუდავს ონლაინმედიის საქმიანობას და გააუარესებს უკვე არსებულ სტანდარტს.

TV „პირველის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, ნოდარ მელაძემ სოციალურ ქსელ ფეისბუკში დაწერა, რომ ტელევიზიის განცხადებებს, სასამართლო სხდომების გაშუქებასთან დაკავშირებით, სისტემა არ იღებს და მედიის წარმომადგენლებს სხდომებზე არც მოსამართლე უშვებს. მელაძის განცხადებით, ამ დრომდე, განმარტება არ გაკეთებულა და არც ალტერნატიული მექანიზმების შემოთავაზება მომხდარა განაცხადების მიღებასთან დაკავშირებით. მედიის ადვოკატირების კოალიციამ კრიტიკულად შეაფასა TV „პირველის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც სასამართლო პროცესებზე განაცხადის სისტემის გაუმართაობას ეხება.[43]

ქართული მედიაგარემო საერთაშორისო შეფასებებში/რეიტინგებში

2024 წელს „რუსული კანონის“ მიღებამ, მთავრობის მხრიდან კრიტიკული მედიის შევიწროებამ, ჟურნალისტებზე თავდასხმებმა და დაუსჯელობამ, სამართალდამცავების მხრიდან ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე გულგრილმა დამოკიდებულებამ მნიშვნელოვნად გააუარესა მედიის თავისუფლების ხარისხი ქვეყანაში.

[42] მედიაჩეკერი, ონლაინ მედიის ნაწილს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღებაზე პრობლემები ექმნება, 23 სექტემბერი, 2024: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/98407-onlain-mediis-natsils-sasamarthlo-procesis-fotogadaghebaze-problemebi-eqmneba

[43] მედიის ადვოკატირების კოალიცია, განცხადება, 22 ივლისი, 2024.

ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (RSF) კლასიფიკაციის თანახმად, 2024 წელს საქართველო 107-ე ადგილზე იყო 53.05 ქულით 180 ქვეყნიდან და ტერიტორიიდან. ამით 27 პუნქტით გაუარესდა წინა წლის რეიტინგი, რა დროსაც საქართველო ამავე ორგანიზაციის კლასიფიკაციაში 77-ე ადგილზე იყო 61.69 ქულით.

მედიის განვითარების ორგანიზაციის IREX-ის 2024[44] წლის ანგარიშში ხაზგასმულია მთავრობის მცდელობა - 2023 წელს მიეღო კანონი „უცხოელი აგენტების“ შესახებ და ხელისუფლების და პროსახელისუფლებო მედიების მხრიდან მანიპულაციური ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის გავრცელება. იმავდროულად, დადებითად არის შეფასებული ქვეყნის მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება 2023 წლის დეკემბერში.

ამერიკული ორგანიზაცია Freedom House-ის Nations in Transit 2024[45] ანგარიშის თანახმად, „ავტოკრატიული ჰიბრიდები, როგორიცაა უნგრეთი, სერბეთი და შედარებით ნაკლებად - საქართველო, ნახევრად კონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმებად ჩამოყალიბების გზას ადგანან ანგარიშის მეთოდოლოგიის მიხედვით. საკვანძო ინსტიტუტები, დაწყებული მედიიდან, დასრულებული სასამართლოთი, გასცდნენ პოლიტიზაციის დონეს, რაც ჰიბრიდული რეჟიმების კლასიკური დეფინიციების თანახმად იყო მოსალოდნელი. ახლა ისინი ფაქტობრივად დატყვევებულნი არიან მმართველი პარტიების მიერ და ბოროტად გამოიყენებიან პარტიული ან პირადი მიზნებისთვის“. საქართველოში მიმდინარე მოვლენების შეფასებაში ნათქვამია, რომ მედიის თავისუფლება არის მნიშვნელოვანი გამოწვევა, განსაკუთრებით - საქართველოს ევროკავშირში გაწევრების ფაქტორის გათვალისწინებით.

ამავე ორგანიზაციის ანგარიშში, რომელიც ინტერნეტის თავისუფლებას ეხება, საქართველო ინარჩუნებს თავისუფალი ქვეყნის სტატუსს.[46]

„ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა“ (CPJ)[47], „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონის საბოლოოდ მიღება და პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტოს გადალახვა დაგმო თავის განცხადებაში, როგორც თავისუფალი მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი“ კატეგორიულად გმობს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, გააუქმოს პრეზიდენტის ვეტო და მიიღოს რუსული სტილის კანონი „უცხოელი აგენტების შესახებ“, რომელიც მიზანში იღებს მედიასაშუალებებსა და პრესის თავისუფლების ჯგუფებს“, - ნათქვამია განცხადებაში.

---

[44] IREX: Vibrant Information Barometer 2024.
[45] ფრიდომ ჰაუსი: Nations in Transit, 2024
[46] ფრიდომ ჰაუსი: Freedom on the Net, 2023.
[47] ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი, 28 მაისი, 2024.: https://cpj.org/2024/05/georgian-parliament-overrides-presidential-veto-adopts-russian-style-foreign-agents-law/

2024 წლის 22 აპრილის ევროპარლამენტის რეზოლუციაში ევროპის პარლამენტმა კრიტიკულად შეაფასა მმართველი პარტიის გადაწყვეტილება „უცხოელი აგენტების“ კანონის ხელახალ შემობრუნებაზე. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მსგავსი კანონმდებლობა „...ძირს უთხრის დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების მუშაობას, რომლებიც წარმოადგენენ საუკეთესო და ყველაზე ეფექტურ სუბიექტებს ხელისუფლების საქმიანობის გადამოწმებისა და მონიტორინგისთვის“.

გაეროს უფლებადამცველთა შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა 2024 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში[48] 2023 წლის მოვლენები შეაფასა, სადაც ჟურნალისტების საქმიანობასაც დაეთმო ყურადღება. ანგარიშში ხაზგასმულია დამოუკიდებელი მედიის მიმართ (რომელიც აშუქებს კორუფციასთან და არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს) მმართველი პარტიის მხრიდან გაკეთებული საჯარო კომენტარები, რაც მიზნად ისახავს მის სტიგმატიზებას. ანგარიშში ასევე გამახვილებულია ყურადღება ჟურნალისტების და მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებულ თავდასხმებზე, 2021 წლის 5-6 ივლისს მომხდარ ფაქტებზე და დაუსჯელობაზე. „ვიზიტის დროს ნათელი გახდა, რომ ისინი [ჟურნალისტები] ასევე მაღალი რისკის ქვეშ არიან და, მიუხედავად არსებული გარანტიებისა, რომ მედიის თავისუფლება პრიორიტეტულია, სახელმწიფო არ იღებს საკმარის ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ [ჟურნალისტებს] შეეძლოთ თავიანთი სამუშაოს შესრულება თავისუფლად, შურისძიების შიშის გარეშე“, - ნათქვამია ანგარიშში.

„მედიის თავისუფლების სწრაფი რეაგირების" (MFRR) გაერთიანებამ გამოაქვეყნა ანგარიში[49] ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებში მედიის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ. კვლევა მომზადდა წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ როგორიცაა „პრესისა და მედიის თავისუფლების ევროპული ცენტრის" (ECPMF), „ჟურნალისტთა ევროპის ფედერაციის" (EFJ) და „პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის" (IPI) მიერ. კვლევაში მოხვდა ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის მაგალითები საქართველოში . კერძოდ, დაფიქსირდა ათობით დარღვევის შემთხვევა, რომელიც მედიის წარმომადგენელს შეეხო. უფლებების დამრღვევნი, ძირითადად, იყვნენ სახელმწიფო მოხელეები და სამართალდამცავები. დარღვევების ტიპოლოგია მოიცავს ფიზიკურ ძალადობას, ქონების დაზიანებას, სიტყვიერ შეურაცხყოფას და სამართლებრივ დევნას.

[48]Country Visit Report: Georgia, UN Special Rapporteur on Human Rights Defenders: https://srdefenders.org/country-visit-report-georgia/?fbclid=IwAR3pnLBKDoIUxKVz9gJTbodgK4g0THjtlXGTb7LB1bFxAzBQt1G9nB6Ho2s

[49] „მედიის თავისუფლების სწრაფი რეაგირების“ (MFRR) კონსორციუმის ანგარიში, 10 სექტემბერი, 2024: https://t.ly/zs-nr

2023 წლის 8 ნოემბერს ევროპარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება[50] საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. რეკომენდაცია გაიცა 14 დეკემბერს, ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, სტატუსი მიენიჭებინა და გაწევრიანების მოლაპარაკებები გაეხსნა ქვეყნისთვის. გაწევრიანების პროცესში საქართველოს დაევალა 9 რეკომენდაციის შესრულება.[51] რეკომენდაციებს შორის პირველ ადგილზეა ევროკავშირისა და მისი ღირებულებების საწინააღმდეგოდ მიმართული დეზინფორმაციის, უცხოური ინფორმაციული მანიპულაციისა და ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლა.

მე-9 რეკომენდაცია ადამიანის უფლებათა დაცვას, მათ შორის მედიაგარემოს და ჟურნალისტებს ეხება: „გააუმჯობესოს ადამიანის უფლებების დაცვა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ამბიციური სტრატეგიის განხორციელებით და უზრუნველყოს შეკრების და გამოხატვის თავისუფლება. აწარმოოს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიება მოწყვლადი ჯგუფების, მედიის წარმომადგენლების და სამოქალაქო სექტორის აქტივისების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების შემთხვევებში, ორგანიზატორები და ძალადობის განმახორციელებლები მისცეს პასუხისგებაში. ჩართოს სამოქალაქო სექტორი საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში და უზრუნველყოს, რომ მათ თავისუფლად იმოქმედონ“.

სამოქალაქო საზოგადოების ფონდის პროექტის ფარგლებში, 12 სამოქალაქო ორგანიზაცია აკვირდებოდა საქართველოს მთავრობის მიერ რეკომენდაციების შესრულებას.[52] 2023 წლის 8 ნოემბრიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით გაკეთებულ შეფასებაში ნათქვამია, რომ ბოლო 5 თვის მანძილზე, ხელისუფლების მხრიდან 9 პუნქტიდან მხოლოდ 2-ის შემთხვევაში აღინიშნებოდა ნაწილობრივი შესრულება. ის პუნქტები, სადაც საინფორმაციო გარემოსა და ჟურნალისტების უფლებებზე იყო საუბარი, ანგარიშის თანახმად, შეუსრულებელია. ანგარიშში მითითებულია, რომ მართალია, საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 11 დეკემბერს დაამტკიცა 2024-2027 წლების საკომუნიკაციო სტრატეგია, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტად დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა დასახელდა,

[50] 2023 Communication on EU Enlargement Policy (extract about Georgia):https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/2023-communication-eu-enlargement-policy-extract-about-georgia_en

[51] 2023 Communication on EU Enlargement Policy (extract about Georgia): https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/2023-communication-eu-enlargement-policy-extract-about-georgia_en

[52] 9 ნაბიჯი ევროკავშირისკენ - შესრულების მდგომარეობა. 11 აპრილი, 2024: https://grass.org.ge/ka/publikaciebi/kvleva/2505-9-nabiji-evrokavshirisken-shesrulebis-mdgomareoba

სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი არ ყოფილა გამჭვირვალე და ინკლუზიური და ხელისუფლების წარმომადგენლები ანტიდასავლური დეზინფორმაციის გავრცელებას თავად უწყობდნენ ხელს. მე-9 პუნქტთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ მართალია 2023 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, მისი შემუშავების პროცესი არ ყოფილა ინკლუზიური. იქვე ნახსენებია, რომ 2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე „რუსული კანონის“ წინააღმდეგ, ძალის გადამეტებისა და არაპროპორციული ზომების გამოყენების შემთხვევები საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა გამოძიებული.

კანდიდატის სტატუსის მოპოვებიდან ოთხ თვეში, 2024 წლის აპრილში, მმართველი პარტიის მიერ, ე.წ. რუსული კანონის ხელახლა ინიციირებას კრიტიკით გამოეხმაურნენ ევროკავშირში.[53] კანონის მიღებიდან ერთ თვეში, 2024 წლის 27 ივნისს, ევროკავშირის ლიდერებმა ევროპული საბჭოს დასკვნაში[54] საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით „სერიოზული შეშფოთება“ გამოხატეს და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდეს „...სიცხადე შეიტანოს თავის განზრახვებში არსებულ მოქმედებათა კურსის ცვლილების საშუალებით, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას და გაწევრიანების პროცესი ფაქტობრივად გაჩერებამდე მიჰყავს“.

სანქციები

აშშ-ის მიერ საქართველოს მაღალჩინოსნების წინააღმდეგ დაწესებული სანქციები წარმოადგენს უპრეცედენტო ნაბიჯს ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში. სახელმწიფო დეპარტამენტის მასშტაბური გადაწყვეტილება, რომელიც 60-ზე მეტ პირსა და მათი ოჯახის წევრებს შეეხო, ასახავს აშშ-ის მზარდ შეშფოთებას საქართველოში დემოკრატიული პროცესების შეფერხებისა და ადამიანის უფლებების დარღვევების გამო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდუალური სანქციები მაღალჩინოსნებისა და მოძალადე პრორუსული პარტიის წარმომადგენლების მიმართ, რაც მიუთითებს დასავლეთის მზადყოფნაზე, კონკრეტული ზომები მიიღოს დემოკრატიული ინსტიტუტების დასაცავად და ავტორიტარული ტენდენციების წინააღმდეგ.

[53] European Parliament. MOTION FOR A RESOLUTION on the attempts to reintroduce a foreign agent law in Georgia and its restrictions on civil society. 22.4.2024: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/B-9-2024-0248_EN.html

[54] ევროპული საბჭო, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების საქართველოსთან დაკავშირებული ნაწილი. 28.06. 2024.:https://t.ly/1OVdq

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა გამოაცხადა მასშტაბური სანქციები საქართველოს მაღალჩინოსნების წინააღმდეგ. სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, სავიზო შეზღუდვები დაუწესდა 60-ზე მეტ პირს და მათი ოჯახის წევრებს დემოკრატიული პროცესების შეფერხებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. სანქციების პირველი ტალღა მოიცავს ხელისუფლების, პარლამენტისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებმაც აქტიური როლი შეასრულეს „რუსული კანონის" მიღებაში. სანქცირებულ პირთა შორის არიან მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, რომლებმაც ბოროტად გამოიყენეს თანამდებობრივი უფლებამოსილება, კორუფციულ გარიგებებში მონაწილე ბიზნესმენები და დეზინფორმაციის გამავრცელებელი პირები.

პარალელურად, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა ინდივიდუალური სანქციები დააწესა მაღალჩინოსნებზე. სიაში, ასევე, მოხვდნენ პრორუსული მოძრაობა „ალტ-ინფოს“ ლიდერები - კონსტანტინე მორგოშია და ზურაბ მახარაძე, ასევე - შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი ზვიად ხარაზიშვილი და მისი მოადგილე მილერი ლაგაზაური. ხარაზიშვილსა და ლაგაზაურს ბრალად ედებათ საპროტესტო აქციების დროს მშვიდობიანი მოქალაქეების, აქტივისტების, ჟურნალისტებისა და ოპოზიციის წევრების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებების ხელმძღვანელობა და ორგანიზება. „ალტ-ინფოს“ ლიდერების შემთხვევაში, მორგოშია, როგორც ორგანიზაციის დამფუძნებელი, სანქცირებულია დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის გავრცელების გამო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ მხარდაჭერილი ძალადობრივი თავდასხმები. მახარაძეს კი ბრალად ედება უმცირესობებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობისკენ პირდაპირი მოწოდება და ასეთი ქმედებების ორგანიზება. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, ეს სანქციები წარმოადგენს პასუხს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სისტემატური დარღვევების გამო. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვასა და მშვიდობიანი შეკრებების უფლების დარღვევაზე.[55]

კიბერუსაფრთხოება

კიბერუსაფრთხოება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ხშირია შემთხვევები, როდესაც მედიაორგანიზაციები თუ ჟურნალისტები ცალკეული

[55] Publika.ge, აშშ-მა 60-ზე მეტ პირს, მათ შორის მთავრობის და პარლამენტის წევრებს სავიზო შეზღუდვები დაუწესა: https://publika.ge/ashsh-ma-60-ze-met-pirs-mat-shoris-mtavrobis-da-parlamentis-wevrebs-savizo-shezghudvebi-dauwesa/ 16 სექტემბერი 2024.

ფორმის კიბერთავდასხმის ობიექტები ხდებიან. მედიის წარმომადგენლებს არ აქვთ უსაფრთხოების შეგრძნება, რომ ისინი დაცული არიან ონლაინ სივრცეში, განსაკუთრებით - ცნობილი „კრებსის“[56] მასალების გამოქვეყნების შემდეგ, რომელზეც სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ეფექტიანი რეაგირება არ ყოფილა.

ქართული მედიასაშუალება Sova-ს ცნობით,[57] მედიის თავდაპირველ ვებგვერდზე წვდომა დაკარგეს, ხოლო მათი ყოფილი დომენი გაურკვეველმა პირმა ხელში ჩაიგდო და ამჟამად რუსული პროპაგანდის გასავრცელებლად იყენებს. მედიის განმარტებით, გამოვლინდა, რომ მათი ძველი დომენი უცნობმა პირმა შეიძინა და ამ მისამართზე გაჩნდა მათი მედიასაშუალების იმიტირებული ვერსია, სადაც ნაწილობრივ მოპარული მასალებია განთავსებული. „თუ ვიმსჯელებთ ვებგვერდის ახალი შინაარსით, რომელზეც ჩვენი იურიდიული სახელწოდება გამოიყენება, ცხადია, რომ ამ მანიპულაციების უკან დგას რუსული პროპაგანდა, რომელიც ცდილობს ჩვენი მკითხველის შეცდომაში შეყვანას,“ - აღნიშნულია რედაქციის განცხადებაში.

კრიტიკული წინასაარჩევნო მედიაგარემო

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ქართული მედია, განსაკუთრებით კი მისი დამოუკიდებელი და კრიტიკული სეგმენტი, მძიმე გამოწვევების წინაშე იდგა. წინასაარჩევნო პერიოდში კომუნიკაციების კომისია და სასამართლო ხელისუფლება სისტემატურად აჯარიმებს კრიტიკულ მაუწყებლებს „ქართული ოცნების" პროპაგანდისტული და არაეთიკური პოლიტიკური რეკლამების ეთერში არგაშვების გამო.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მხრიდან ჟურნალისტების მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებები და მათი რეპუტაციის შელახვის მცდელობები. დღემდე გამოუძიებელია მედიის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობისა და პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევის მრავალი ფაქტი, რაც სერიოზულად აფერხებს მედიის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ზემოხსენებულ პრობლემებთან ერთად, მედიას ემუქრებოდა „ქართული ოცნების" მიერ მიღებული „რუსული კანონის" რეპრესიული მექანიზმების ამოქმედების საფრთხე. ასეთი მტრული გარემო არა მხოლოდ საფრთხეს

[56] Publika.ge, „ვადასტურებთ, რომ მსგავსი საუბარი შედგა“ | რას ჰყვება ფიგურანტების ნაწილი ჩანაწერებზე, 2 agvisto 2021: https://publika.ge/vadasturebt-rom-msgavsi-saubari-shedga-ras-hyveba-figurantebis-chanawerebze/

[57] SOVA-ს განცხადება ძველ ვებგვერდზე წვდომის დაკარგვასთან დაკავსირებით, 15 ოქტომბერი 2024 წელი: https://t.ly/5s0BZ

უქმნის დამოუკიდებელ მედიას, არამედ ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესებს, ზღუდავს პლურალისტურ გარემოს და ართმევს საქართველოს მოქალაქეებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

საჯარო ინფორმაციაზე წვდომის პრობლემა კვლავ მწვავედ იდგა. კანონით დაკისრებული ვალდებულების მიუხედავად, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ან საერთოდ არ პასუხობდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს, ან არასრულ პასუხებს გასცემდნენ კანონით დადგენილი ვადების დარღვევით. ეს პრობლემა განსაკუთრებით გამძაფრდა წინასაარჩევნო პერიოდში. „ქართული ოცნების" ლიდერები აგრძელებდნენ ჟურნალისტების შეურაცხყოფას კრიტიკული შეკითხვების დასმის გამო.

წინასაარჩევნო პერიოდში მედიაზე წვდომა მკვეთრად არათანაბარი იყო საარჩევნო სუბიექტებისთვის. გაგრძელდა მმართველი პარტიის მიერ კრიტიკული მედიის ბოიკოტი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა ამომრჩევლების სრულფასოვან ინფორმირებას. პროსახელისუფლებო მედიასაშუალებები - „იმედი", „რუსთავი 2" და POSTV - დახურული იყო ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ხოლო მმართველი პარტიის წევრები თავს არიდებდნენ კრიტიკულ მედიასთან თანამშრომლობას. შედეგად, სატელევიზიო სივრცეში პრაქტიკულად გაქრა საგნობრივი პოლიტიკური დებატები. ვერც „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" შეძლო სრულფასოვანი პოლიტიკური დებატების უზრუნველყოფა, რაც მის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით პრობლემურია წინასაარჩევნო პერიოდში, რადგან ამომრჩეველს ერთმევა ინფორმირებული არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა. სახელისუფლებო მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკა მიმართული იყო არა ამომრჩეველთა ინფორმირებისკენ, არამედ ოპოზიციური პარტიების, სამოქალაქო ორგანიზაციების, პრეზიდენტის, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და აშშ-ის დისკრედიტაციისკენ, რითაც მმართველი პარტიის ანტიდასავლურ ნარატივს აძლიერებდა.

წინასაარჩევნო პერიოდში გავრცელებული დეზინფორმაცია ძირითადად მიმართული იყო ოპოზიციური პარტიების, პრეზიდენტის, ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ. მმართველი პარტია ავრცელებდა ყალბ ინფორმაციას, თითქოს ოპოზიციონერები, ჟურნალისტები და აქტივისტები საზოგადოებას შეიარაღებული მოქმედებებისკენ მოუწოდებდნენ.[58]

„ქართული ოცნების" წინასაარჩევნო შეხვედრაზე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის" რედაქტორი ლაურა გოგოლაძე ხარაგაულის მერმა კობა

[58] სადამკვირვებლო მისია „ჩემი ხმის" წინასაარჩევნო გარემოს შეფასება, 25 ოქტომბერი: 2024 https://lnkfwd.com/u/MKdK9cv3

ლურსმანაშვილმა არ დაუშვა და საჯაროდ შეურაცხყოფაც მიაყენა. მსგავსი სახის ვერბალური თავდასხმები და შეურაცხყოფა აკნინებს მედიის წარმომადგენლების მიმართ ნდობას საზოგადოების თვალში და ართულებს მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებას.[59]

საქართველოში უცხოელი ჟურნალისტების შემოსვლის შეზღუდვა

საქართველოში უცხოელი ჟურნალისტების შემოსვლის შეზღუდვა სულ უფრო მზარდ პრობლემად იქცა. 2024 წელსაც დაფიქსირდა მრავალი შემთხვევა, მათ შორის - სომეხი, ბელარუსი, ჩეხი და შვეიცარიელი ჟურნალისტების მიმართ გატარებული არაკანონზომიერი ქმედებები. ეს ფაქტები მიუთითებს სისტემურ პრობლემაზე მედიის თავისუფლების კუთხით. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ შეზღუდვები ხშირად ეხება იმ მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც კრიტიკულ პოზიციას გამოხატავენ, ხოლო უარი ქვეყანაში შემოსვლაზე უმეტესწილად დაუსაბუთებელია ან ფორმალურ მიზეზებს ეფუძნება.

მედიის მხარდამჭერთა გაერთიანება შეშფოთებას გამოხატა უცხოელი მედიის წარმომადგენლების მიმართ გატარებული არაკანონზომიერი შეზღუდვების გამო. გასული წლების მსგავსად, წინასაარჩევნო პერიოდშიც ასეთი რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, რაც მიუთითებს მედიის თავისუფლების პრობლემურ მდგომარეობაზე.

17 სექტემბერს ორენოვანი მედიასაშუალების დამაარსებელს, არსენ ხარატიანს, რომელიც ადრე სომხეთის პრემიერის მრჩევლის პოზიციას იკავებდა, ქვეყანაში შემოსვლაზე უარი ეთქვა. აღსანიშნავია, რომ ეს მისი მეორე მცდელობა იყო - პირველ ჯერზე, დროებითი დაყოვნების შემდეგ, მან მოახერხა საქართველოში შემოსვლა, მაგრამ შემდგომი ვიზიტისას მას საზღვრის გადმოკვეთის უფლება აღარ მიეცა. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ბელარუსი ჟურნალისტისა და აქტივისტის, ანდრეი მიალეშკას მიმართ, რომელიც მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახის წევრები საქართველოში ცხოვრობენ, სასაზღვრო სამსახურმა მას შემოსვლაზე უარი უთხრა დასაბუთების გარეშე. ბოლო პერიოდში მსგავსი შეზღუდვები ხშირად ეხება იმ მედიის

[59] ტელეკომპანია „ფორმულა“, ხარაგაულის მერი „ჩემი ხარაგაულის“ წინააღმდეგ, 2024 წ., 17 ოქტომბერი: https://www.facebook.com/watch/?v=4369198036640057

წარმომადგენლებს, რომლებიც კრიტიკულ პოზიციას გამოხატავენ რუსეთის ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველი ძალის მიმართ.[60]

მნიშვნელოვანია ჩეხი ჟურნალისტის, რეი ბეისლის შემთხვევა, რომელიც 34 საათის განმავლობაში იმყოფებოდა თბილისის აეროპორტში და საბოლოოდ იძულებული გახდა, პრაღაში დაბრუნებულიყო. სამართალდამცავებმა მხოლოდ ფორმალური მიზეზით ახსნეს შემოსვლაზე უარი.[61]

შვეიცარიელ ჟურნალისტს, სტეფან გოსსაცხ უარი უთხრეს საქართველოში შემოსვლაზე.[62] სოციალურ ქსელ X-ზე გავრცელებული ინფორმაციით, ჟურნალისტი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების გასაშუქებლად აპირებდა ჩამოსვლას.

თბილისში დაკავებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, აფგან სადიგოვი თვეზე მეტია შიმშილობს. სადიგოვის მეუღლის ინფორმაციით, ჟურნალისტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესებულია. სევინჯ სადიგოვა აცხადებს, რომ აფგანს გადაადგილება უჭირს, სისხლში წნევა და შაქრის დონე ძალიან დაბალი აქვს და არსებობს კომაში ჩავარდნის საფრთხე. „მისი მდგომარეობა ძალიან დამძიმებულია. დღეს შეხვედრაზე ეტლით მოიყვანეს. შეხვედრის დასრულებისას ექიმმა და ფსიქოლოგმა ბავშვების გარეშე მაცნობეს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა და ნებისმიერ წუთს შეიძლება კომაში ჩავარდეს. ექიმი მოითხოვს, რომ რაიმე მიიღოს, მაგრამ აფგანი უარს ამბობს. იგი აცხადებს, რომ შიმშილობას გააგრძელებს, რადგან კანონი არ მუშაობს და მხოლოდ ბრძანებები მოქმედებს, სხვა გზა არ აქვს და მოკვდება", - აცხადებს სადიგოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ აფგან სადიგოვს საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა. ჟურნალისტი ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა შემდგომი ექსტრადირების მიზნით დააკავა. საქალაქო სასამართლოს განჩინება სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა. შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტმა აფგან სადიგოვს საქართველოში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე უარი უთხრა. ჟურნალისტმა შიმშილობა სექტემბრიდან დაიწყო. აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, რომელიც ონლაინ მედია Azel.Tv-ის მთავარი რედაქტორია საქართველოში 2023 წლის 24 დეკემბრიდან იმყოფება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული დროებითი ბინადრობის მოწმობა აქვს. დაკავებამდე ჟურნალისტი ცდილობდა საქართველოდან გასვლას, თუმცა ქართველმა

[60] მედიის ადვოკატირების კოალიცია, განცხადება უცხოელი ჟურნალსიტების ქვეყანაში არშემოშვებასთან დაკავშირებით, 17 სექტემბერი, 2024: https://lnkfwd.com/u/MKeZAFo7

[61] მედიაჩეკერი, ჩეხმა ჟურნალისტმა, რეი ბეისლიმ საქართველო დატოვა 24 ოქტომბერი 2024: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/98618-chekhma-zhurnalistma-rei-beislim-saqarthvelo-datova

[62] ჟურნალისტის პოსტი სოციალურ ქსელში, 26 ოქტომბერი 2024: https://x.com/gossstephan/status/1850011833119211864?s=46&t=KsYwMfPOrnNIDPiEQg5c-w

სამართალდამცავებმა ამის უფლება არ მისცეს. მათი განცხადებით ჟურნალისტს მხოლოდ აზერბაიჯანში დაბრუნება შეეძლო.[63]

სადიგოვის მიმართ პატიმრობის შეწყვეტასა და გათავისუფლებას საერთაშორისო თანამეგობრობაც აქტიურად მოითხოვს, მაგალითად Amnesty International ჟურნალისტის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს.[64]

ამ ფონზე საგანგაშოა რუსი პროპაგანდისტის საქართველოში დაუბრკოლებელი შემოშვება. საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" (RSF) ინფორმაციით, რუსი პროპაგანდისტი ალექსანდრ მალკევიჩი საქართველოს საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ქვეყანაში იმყოფებოდა.[65] RSF-ის მონაცემებით, იგი უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე პროპაგანდისტული ქსელის შემქმნელია. მალკევიჩმა თავად განაცხადა, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აკრედიტებული ჟურნალისტის სტატუსით იმყოფებოდა ქვეყანაში. გარდა ამისა, მან დაარღვია საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ, რადგან ცხინვალში დე ფაქტო პრეზიდენტ ალან გაგლოევთან გამართა შეხვედრა. მალკევიჩი იმყოფება ევროკავშირის, აშშ-ის, კანადისა და სხვა ქვეყნების სანქციების ქვეშ. აშშ-ს მასზე, არჩევნებში ჩარევის ბრალდებით, ძებნა აქვს გამოცხადებული.

კომუნიკაციების კომისია

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა კომუნიკაციების კომისიის მძიმე ზეწოლა კრიტიკულ მაუწყებლებზე - „მთავარ არხზე“, TV „პირველსა“ და „ფორმულაზე“. კომისიამ ამ მაუწყებლებს მრავალჯერ შეუდგინა სამართალდარღვევის ოქმები. მართალია, კომისიამ რამდენიმე სამართალდარღვევის ოქმი პროსამთავრობო არხებსაც გამოუწერა, მაგრამ ჩანს, რომ ეს ნაბიჯები მხოლოდ საერთაშორისო პარტნიორებისა და სადამკვირვებლო მისიების წინაშე „მიუკერძოებელი არბიტრის“ იმიჯის შექმნას ემსახურებოდა.

საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ (GDI) წარმოადგინა ანალიზი საქართველოს კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებებზე.

---

[63] მედიაჩეკერი, სევინჩ სადიგოვა: „აფგანი ნებისმიერ წუთს შეიძლება, კომაში ჩავარდეს“, 24 ოქტომბერი, 2024: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/98622-sevinch-sadigova-afgani-nebismier-tsuths-sheidzleba-komashi-chavardes

[64] რადიო თავისუფლება, Amnesty International-ი გამოდის მოწოდებით, არ მოხდეს აფგან სადიგოვის ექსტრადირება აზერბაიჯანში, 6 აგვისტო 2024: https://www.radiotavisupleba.ge/a/33067625.html

[65] „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, პოსტი სოციალურ ქსელში, 31 ოქტომბერი, 2024: https://x.com/rsf_inter/status/1851994781070590393?s=46

კვლევის თანახმად, კომისიის წინასაარჩევნო გადაწყვეტილებები იწვევს საფუძვლიან ეჭვს, რომ ის შესაძლოა გამოიყენებოდეს როგორც ხელისუფლების ინსტრუმენტი მედიისა და პოლიტიკური გამოხატვის შესაზღუდად. კომისიის ფართო და ბუნდოვანი პრაქტიკა მნიშვნელოვნად აფერხებს მედიისა და გამოხატვის თავისუფლებას და ხელს უშლის თავისუფალი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას.[66] ძირითადი მიგნებების ნაწილში აღსანიშნავია, რომ კომისია პოლიტიკურ რეკლამას განმარტავს ზედმეტად ფართოდ, რაც ქმნის მედიის ცენზურის საფრთხეს. შეინიშნება მმართველი პარტიის საჩივრების მაღალი დაკმაყოფილების მაჩვენებელი. გადაწყვეტილებები ხშირად დაუსაბუთებელია და მაუწყებლებისთვის გაუგებარია დარღვევის კრიტერიუმები. ბუნდოვანი სამართლებრივი პრაქტიკა ქმნის მსუსხავ ეფექტს მაუწყებლებისთვის. სასამართლოები ხშირად იღებენ დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს. დაკისრებული ჯარიმები მძიმე ფინანსურ ტვირთად აწვება მედიასაშუალებებს. კომისიის პრაქტიკა, რომელიც ხშირად ემთხვევა მმართველი პარტიის ინტერესებს, განსაკუთრებით საგანგაშოა იმ პირობებში, როცა კრიტიკული მედია უკვე დგას მრავალი გამოწვევის წინაშე, მათ შორისაა: „რუსული კანონის“ ამოქმედება, ჟურნალისტებზე თავდასხმები, SLAPP სარჩელების ზრდა და ხელისუფლების მხრიდან დისკრედიტაციის მცდელობები.[67]

წინასაარჩევნო პერიოდში მარეგულირებელმა უწყებამ არაერთი მაუწყებელი დაასანქცირა. მართალია პროსამთავრობო მედიის წარმომადგენლებსაც შეეხო სანქციები, მაგრამ მნიშვნელოვანია საფუძველი, თუ რატომ დაჯარიმდა კრიტიკული მედია და რას უკავშირდებოდა კომისიის მცდელობა ეჩვენებინა ხელოვნური ბალანსი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ „მთავარი არხი", „TV პირველი" და „ფორმულა" თითოეული 5 000 ლარით დააჯარიმა „ქართული ოცნების" რეკლამის - „არა ომს, აირჩიე მშვიდობა" განუთავსებლობის გამო და დაავალა მისი ეთერში განთავსება. გადაწყვეტილება კომუნიკაციების კომისიის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე იქნა მიღებული, რასაც წინ უძღოდა „ქართული ოცნების" საჩივარი.

ტელეკომპანიებმა მმართველი პარტიის რეკლამასთან - „არა ომს, აირჩიე მშვიდობა" - დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. მათ პოზიციას მხარი სამოქალაქო საზოგადოების არაერთმა ორგანიზაციამ დაუჭირა. „მედიაომბუდსმენმა" საჯაროდ გამოაქვეყნა კომუნიკაციების კომისიის პასუხები, რომლებიც მარეგულირებელმა ტელევიზიებს გაუგზავნა. „მთავარი არხი", TV „პირველი" და „ფორმულა" კომისიისგან ითხოვდნენ ინფორმაციას ვიდეორგოლის („არა ომს, აირჩიე მშვიდობა")

[66] GDI, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებების ანალიზი, 22 ოქტომბერი, 2024 წ: https://lnkfwd.com/u/MKdauCgw
[67] GDI, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებების ანალიზი, 22 ოქტომბერი, 2024 წ: https://lnkfwd.com/u/MKdkXrXn

კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და განთავსების შესახებ. კომისიამ სამივე ტელევიზიას იდენტური პასუხი გასცა: „კომისია მოკლებულია შესაძლებლობას, წინასწარ, ადმინისტრაციული წარმოების პროცესის მიღმა, შეაფასოს კონკრეტული მასალა და გასცეს მისი ეთერში განთავსების/განუთავსებლობის შესახებ რეკომენდაცია“.[68]

კომუნიკაციების კომისიამ „იმედსა" და „რუსთავი 2-ს“ ოპოზიციის ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განუთავსებლობის გამო შეუდგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. კომისიის ინფორმაციით, ოპოზიციური პარტიების საჩივრებში აღნიშნულია, რომ მიუხედავად წარდგენილი ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და ამ საკითხზე კომუნიკაციების კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებისა, რომლითაც ორივე ტელევიზია უკვე კანონდამრღვევად იქნა ცნობილი, მაუწყებლები კვლავ არ ათავსებდნენ პარტიების მიერ მიწოდებულ ფასიან პოლიტიკურ რეკლამას.[69]

ოქტომბერში თბილისის საქალაქო სასამართლომ „რუსთავი 2" 5 000 ლარით დააჯარიმა „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის" უფასო პოლიტიკური რეკლამის განუთავსებლობის გამო. იმავე მიზეზით 5-5 ათასი ლარით დაჯარიმდნენ „იმედი", POSTV და „მაესტრო". „იმედმა" გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც, სანამ „მთავარი", TV „პირველი" და „ფორმულა" „ქართული ოცნების" ვიდეოებს არ გაუშვებდნენ ეთერში, „კოლექტიური ნაცმოძრაობის" რეკლამებს ისიც აღარ განათავსებდა. ეს გადაწყვეტილება POSTV-მაც გაიზიარა.[70]

სექტემბერში კომუნიკაციების კომისიამ „მთავარ არხს", TV „პირველს" და „ფორმულასაც" სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა „ქართული ოცნების" იმ პოლიტიკური რეკლამის განუთავსებლობის გამო, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩანან და ისმის ფრაზა: „უთხარი არა საზოგადოების მორალურ გადაგვარებას და აირჩიე ტრადიციული ფასეულობები".[71]კომისიის ოქმების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე ტელეკომპანია სხვადასხვა დღეს 5-5 ათასი ლარით დააჯარიმა.

---

[68] მედიაჩეკერი, რეკლამების განუთავსებლობა და ოპოზიციური პარტიებისთვის დათმობილი დრო - „ოცნების“ საჩივრები და ჯარიმები კრიტიკულ მედიას, 15 ოქტომბერი, 2024: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/98516-reklamebis-ganuthavsebloba-da-opoziciuri-partiebisthvis-dathmobili-dro-ocnebis-sachivrebi-da-jarimebi-kritikul-medias

[69] მედიაჩექერი, ComCom-მა „იმედს“ და „რუსთავი 2“-ს ოპოზიციური პარტიების რეკლამის განუთავსებლობისთვის ოქმები კიდევ შეუდგინა, 23 ოქტომბერი, 2024: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/98607-comcom-ma-imeds-da-rusthavi-2-s-opoziciuri-partiebis-reklamis-ganuthavseblobisthvis-oqmebi-kidev-sheudgina

[70] მედიაჩეკერი, რეკლამების განუთავსებლობა და ოპოზიციური პარტიებისთვის დათმობილი დრო - „ოცნების“ საჩივრები და ჯარიმები კრიტიკულ მედიას, 15 ოქტომბერი, 2024: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/98516-reklamebis-ganuthavsebloba-da-opoziciuri-partiebisthvis-dathmobili-dro-ocnebis-sachivrebi-da-jarimebi-kritikul-medias

[71] იქვე.

სანამ ტელევიზიები სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებდნენ, მმართველმა პარტიამ კომუნიკაციების კომისიას, ამ რეკლამის განუთავსებლობის გამო, მეორედ მიმართა. კომისიამ საკითხი განმეორებით განიხილა და ტელეკომპანიებს კიდევ ერთი სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. საქალაქო სასამართლომ „მთავარი არხი", TV „პირველი" და „ფორმულა" მეორედ დააჯარიმა 5-5 ათასი ლარით და კომისიის შუამდგომლობით, დაავალა სადავო ვიდეორგოლის ეთერში განთავსება.[72]

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" შეფასებით, ამ ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოყენება „ქართული ოცნების" საარჩევნო ვიდეოში მიზნად ისახავს ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წინააღმდეგ მმართველი პარტიის მიერ კოორდინირებული და დაგეგმილი კამპანიის გაგრძელებას და სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეპუტაციის შელახვას. კომუნიკაციების კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილებები კი კრიტიკულ მედიას ფინანსურ დარტყმას აყენებს.[73]

კომუნიკაციების კომისიამ „მთავარი არხი“ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის „რუსულად" მოხსენიებისთვის დააჯარიმა. კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება, შესაძლებელია, მიჩნეული იყოს ცენზურის მორიგ მცდელობად და კიდევ ერთ გზავნილად, რომ თავისუფალმა და კრიტიკულმა მედია მმართველი პარტიის მიერ მიღებულ კანონს არ უწოდონ „რუსული კანონი“.[74]

კომუნიკაციების კომისიის მიერ დაფუძნებული „მედიაკრიტიკა“ ძირითადად აკრიტიკებს იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევიან. 2023 წლის მარტიდან 2024 წლის ივლისამდე პერიოდში შესწავლილი იქნა ასზე მეტი პუბლიკაცია, საიდანაც გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები[75]:

- არაპროპორციულად აკრიტიკებს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიებს;
- კრიტიკა ხშირად სცდება პროფესიული სტანდარტების ფარგლებს;
- კრიტიკის ადრესატები არიან არა მხოლოდ ჟურნალისტები, არამედ რესპონდენტებიც;

[72] იქვე. .
[73] იქვე.
[74] GDI, განცხადება - კომუნიკაციების კომისიამ ვიდეორგოლში „რუსული კანონის“ ხსენება „ქართული ოცნებისთვის“ ხელისშემშლელ პოლიტიკურ რეკლამად მიიჩნია და მისი არაწინასაარჩევნო პერიოდში განთავსების გამო „მთავარი არხი” დააჯარიმა, 16 აგვისტო, 2024: https://gdi.ge/ge/news/komunikatsiebis-komisiam-klipshi-rusuli-kanonis-khseneba-qar
[75] მედიის განვითარების ფონდი, რას ხედავს ComCom-ის “მედიაკრიტიკა” დასავლეთში და რას ვერ ხედავს საქართველოში? 11 სექტემბერი, 2024: https://lnkfwd.com/u/MKd4I-zP

- ნაკლები ყურადღება ეთმობა ადგილობრივი მედიაგარემოს გამოწვევებს, მაშინ როცა აქტიურად შუქდება დასავლური მედიის პრობლემები.

„მედიაკრიტიკის“ დაფინანსების კუთხით, 2019-2022 წლებში ბიუჯეტმა 1.6 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, მაგრამ გარეავტორების ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური

საქართველოს სამართალდამცავ სისტემაში მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილება განხორციელდა 2019 წელს როდესაც შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახური. 2022 წლის 1 მარტს კი სამსახური გარდაიქმნა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურად. უწყების მთავარ მისიას წარმოადგენს საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური, დროული და მიუკერძოებელი გამოძიება. სამსახურის საქმიანობას წარმოადგენს ასევე ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევასთან დაკავშირებით გამოძიების წარმოება. კანონმდებლობის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახური თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ავტონომიურად და არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს.[76]

მიუხედავად მნიშვნელოვანი ფუნქციისა და როლისა, თავად უწყების შექმნა და საქმიანობა არაერთი ლეგიტიმური კრიტიკის საფუძველი გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ უწყების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ პირობას ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების ცხრა წინაპირობიდან. სამართლებრივი რეფორმის პროცესი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვენეციის კომისიის მხრიდან. კომისიის 2022 წლის ვრცელ დასკვნაში გამოთქმულია სერიოზული შენიშვნები სამსახურის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებული კრიტიკა ეხება პროკურატურის გავლენას სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2022 წლის ინსტიტუციური ცვლილება, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გაიყო ორ დამოუკიდებელ უწყებად - სპეციალურ საგამოძიებო სამსახურად და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურად. ვენეციის კომისიის შეფასებით, ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დაჩქარებულად და სათანადო განხილვების გარეშე. ინფორმაციის თავისუფლების

[76] სპეციალური საგამოძიებო სამსახური ვებგვერი: https://sis.gov.ge/history

განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ექსპერტების შეფასებით, „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ ნაწილობრივ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. განსაკუთრებით პრობლემატურად რჩება საკვანძო საკითხები, რომლებიც უწყების რეალურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა. ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამსახურის ხელმძღვანელი პირების დაცვის გარანტიებს. კომისია მიიჩნევს, რომ იმუნიტეტით უნდა სარგებლობდნენ არა მხოლოდ სამსახურის უფროსი, არამედ მისი მოადგილეებიც, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ სტაბილურობას.[77]

განსაკუთრებით პრობლემურია მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ხარისხი და ტემპი. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის დაქვემდებარებაშია არაერთი შემთხვევა მედიის წინააღმდეგ პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ჩარევასთან დაკავშირებით.[78] თუმცა, მედიისა და სამოქალაქო სექტორის შეფასებით ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტების უმრავლესობა ეფექტურად არ არის გამოძიებული, პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის შემთხვევებზე გამოძიება ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს და დაზარალებული ჟურნალისტები უჩივიან საქმის გაჭიანურებას. სამსახური პრაქტიკულად არ ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს მედიის წარმომადგენელთა დასაცავად. არ არსებობს რისკების შეფასების სისტემა და პრევენციული დაცვის ეფექტური მექანიზმები.

სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში გამოძიება დაიწყო 13 სისხლის სამართლის საქმეზე. აქედან:

- 8 საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინების საფუძველზე;
- 3 საქმეზე მასმედია/სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე;
- 2 საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმის ქვემდებარეობით გადმოგზავნის დადგენილების საფუძველზე.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური არ არის ინფორმირებული შემდგომში სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებთან დაკავშირებით.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელიც უფლებამოსილია, მათ შორის, გამოიძიოს მედიის წარმომადგენელთა პროფესიულ საქმიანობაში

[77] რადიო თავისუფლება, „პროკურატურის ხელი“ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში - თანდაყოლილი ხარვეზის დილემა, 11 მარტი, 2024, https://lnkfwd.com/u/MKeB_SiC
[78] მედიამეტრი, https://www.mediameter.ge/ge/media-cases

უკანონო ჩარევის ფაქტები, ხშირად ვერ უზრუნველყოფს ჟურნალისტთა ეფექტურ დაცვას. სამსახურის საქმიანობაში იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი. უპირველეს ყოვლისა, პრობლემურია უწყების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ კანონით სამსახური დამოუკიდებელ ორგანოდ არის გამოცხადებული, პრაქტიკაში იკვეთება მნიშვნელოვანი გავლენები, რაც აფერხებს მის ეფექტურ ფუნქციონირებას.

არჩევნების დღე

საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე მედიის თავისუფლება და ჟურნალისტების უსაფრთხოება უმნიშვნელოვანეს საზომს წარმოადგენს. 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. არჩევნების დღემ აჩვენა, რომ დემოკრატიული პროცესების გაშუქება კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება ქართული მედიისთვის. საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული ძალადობრივი ინციდენტები, პროფესიული საქმიანობის ხელშეშლა და ჟურნალისტების დევნა მიუთითებს იმ სისტემურ პრობლემებზე, რომლებიც კვლავ მოუგვარებელია ქართულ საზოგადოებაში. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ზეწოლა ძირითადად კრიტიკული მედიასაშუალებების წარმომადგენლების წინააღმდეგ იყო მიმართული, რაც კითხვის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ მედიის თავისუფლებას, არამედ მთლიანად საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოში მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ მძიმე ინციდენტები დაფიქსირდა. „მედიაჩეკერის“[79] ინფორმაციით, საარჩევნო უბნებზე დღის განმავლობაში 70-მდე მედიის წარმომადგენელს შეეშალა ხელი პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.[80]

მედიის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები ასე გამოიყურებოდა:

- პროფესიული საქმიანობის განხორციელების უკანონოდ შეზღუდვა;
- ფიზიკური ძალადობა;

[79] მედიაჩეკერი, არჩევნების დღეს პროფესიულ საქმიანობაში ხელი მედიის 40-მდე წარმომადგენელს შეეშალა, 28 ოქტომბერი, 2024: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/98692-archevnebis-dghes-profesiul-saqmianobashi-kheli-mediis-40-mde-tsarmomadgenels-sheeshala

[80] მედიაჩეკერი, არჩევნების დღეს პროფესიულ საქმიანობაში ხელი მედიის 70 წარმომადგენელს შეეშალა, 31 ოქტომბერი, 2024, https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/98736-archevnebis-dghes-profesiul-saqmianobashi-kheli-mediis-70-tsarmomadgenels-sheeshala

- შეურაცხყოფა და მუქარა;
- ფსიქოლოგიური ზეწოლა;
- ინსტიტუციური დარღვევები საარჩევნო ადმინისტრაციის, მმართველი პარტიისა და „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

ეს დარღვევები პირდაპირ აფერხებს საზოგადოების უფლებას, მიიღოს ინფორმაცია საარჩევნო პროცესის შესახებ. უბნებზე არდაშვებით და გადაღების შეზღუდვით იქმნება გაუმჭვირვალე გარემო. თავდასხმები ჟურნალისტებზე და ტექნიკის დაზიანება წარმოადგენს პირდაპირ მცდელობას შეიზღუდოს მედიის თავისუფლება. ასეთი ქმედებები ქმნის დაშინების ატმოსფეროს და აიძულებს ჟურნალისტებს თვითცენზურისკენ, აფერხებს მედიასაშუალებების ნორმალურ ფუნქციონირებას. მუქარა და შეურაცხყოფა მიზნად ისახავს ჟურნალისტების დაშინებას. საარჩევნო ადმინისტრაციისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება აჩვენებს სისტემურ პრობლემებს.

კანონდარღვევათა მასშტაბისა და სიმძიმის საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, თუ რა მძიმე იყო მედიის საქმიანობა:

- სოფელ ჭიაურში (ლაგოდეხი) ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტი, დავით ჭაბაშვილი სიტყვიერად შეურაცხყვეს და მუშაობაში ხელი შეუშალეს, რაც ვიდეომასალით დასტურდება.

- ბათუმის №5 საარჩევნო უბანთან „ქართული ოცნების" კოორდინატორებმა TV „პირველის" ჟურნალისტი თამთა დოლენჯაშვილი მიკროავტობუსში ჩაკეტეს. კოორდინატორების სავარაუდო ხელმძღვანელი ედუარდ შარაძე ჟურნალისტს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობით დაემუქრა.

- თბილისში, ისნის საარჩევნო უბანზე „მთავარი არხისა" და TV „პირველის" ჟურნალისტებს, ქეთა ციცქიშვილსა და მარიამ გაფრინდაშვილს, უცნობი პირი დარბევით დაემუქრა. ჟურნალისტები უბნიდან გააძევეს.

- ახმეტის მუნიციპალიტეტში, მატანის №11 საარჩევნო უბანზე თავს დაესხნენ „მთის ამბები/საქართველოს ამბების" დამფუძნებელსა და რედაქტორს, გელა მთივლიშვილს, წაართვეს ტელეფონი და ხელი შეუშალეს გადაღებაში.

- მარნეულის №7 საარჩევნო უბანზე საუბნო კომისიის თავმჯდომარემ აგრესიული ფორმით აუკრძალა გადაღება რადიო „მარნეულის" ჟურნალისტებს, ვლადიმერ ჩხიტუნიძესა და თიკო დავაძეს.

31 ოქტომბერს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადება[81] ჟურნალისტების უფლებების უკანონოდ შეზღუდვაზე რეაგირებასთან დაკავშირებით, ნაკლებად დამაჯერებელია იმ ფონზე, როცა დღიდან მისი შექმნისა, ეს უწყება არ უზრუნველყოფს პრაქტიკაში მედიის წარმომადგენლების უფლებების ეფექტურ დაცვას, არ აღიქმება როგორც დამოუკიდებელი უწყება, რომელიც მოწოდებულია ჟურნალისტების უფლებების დასაცავად.

ეს დარღვევები საბოლოო ჯამში აზიანებს არა მხოლოდ მედიის თავისუფლებას, არამედ მთლიანად დემოკრატიულ პროცესს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია საარჩევნო პროცესის შესახებ.

რეკომენდაციები:

- საქართველოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა გააუქმოს „რუსული კანონი“ და „ჰომოფობიური ცენზურის კანონი", რომლებიც პირდაპირ ემუქრება მედიის თავისუფლებას და ეწინააღმდეგება ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს. ეს კანონები წარმოადგენს რუსული სტილის საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის მარგინალიზაციას.

- „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ეფექტური გამოძიება ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის, დაშინების და შევიწროების ყველა ფაქტზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული დარღვევების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა, რათა დასრულდეს დაუსჯელობის სინდრომი.

- კომუნიკაციების კომისიამ და სასამართლომ უნდა შეწყვიტოს პოლიტიზირებული და მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღება მედიასაშუალებების მიმართ.

- მმართველმა პარტიამ უნდა შეწყვიტოს კრიტიკული მედიის დისკრიმინაცია და ბოიკოტი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო უწყებების გახსნილობას მედიისთვის და სასამართლო პროცესების გაშუქების თავისუფლებას.

[81] პირველი არხი, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება, 31 ოქტომბერი 2024: https://1tv.ge/video/specialuri-sagamodziebo-samsakhuris-ganckhadeba-4/

- „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა და მასთან დაკავშირებულმა პირებმა უნდა შეწყვიტონ დაუსაბუთებელი სარჩელების შეტანა კრიტიკული მედიის წინააღმდეგ, მათ პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის მიზნით. სასამართლო უწყებებმა უნდა უზრუნველყონ მედიის უფლებების დაცვა დაუსაბუთებელი სარჩელების ფონზე და კანონმდებლობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად განმარტება. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ეფექტური მექანიზმები SLAPP საქმეების პრევენციისთვის, რომლებიც გამოიყენება კრიტიკული მედიის დასაშინებლად და გასაჩუმებლად.

- სახელმწიფომ უნდა შეწყვიტოს უცხოელი ჟურნალისტების დისკრიმინაცია და უზრუნველყოს მათი შეუფერხებელი შემოსვლა ქვეყანაში.

  სასამართლო სისტემამ უნდა უზრუნველყოს მედიასთან დაკავშირებული საქმეების მიუკერძოებელი განხილვა და არ მიიღოს პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებები.

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა შეწყვიტოს მიზანმიმართული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანია მედიის, აქტივისტებისა თუ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ, დაინტერესებული პირების ჩართულობით, უზრუნველყოს რუსულ პროპაგანდასთან დაპირისპირება.

- საჯარო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის დროული და სრულყოფილი გაცემა მედიისთვის.

- საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე მედიის თავისუფლების დაცვის კუთხით.

- საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გააგრძელონ მედიის მხარდაჭერა და არსებულ გამომწვევებში დახმარების გაწევა, განსაკუთრებით ძალადობის, ეგზისტენციური პრობლემებისა და შეზღუდული რესურსების ფონზე.

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

მისამართი:
0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა,
III სართული
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ვებ-საიტი: www.hrc.ge